სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 8 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

[illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 241 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 241

ღრმათ დამწუხრებულნი გერასიმე ქიქოძე, ანეტა და შალვა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 5 ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა ძვირფასი დედა

მ ა ტ რ ო ნ ა.

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, პარასკევს, 8 ნოემბერს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდგან, პეტრე-დიდის ქუჩა, № 24. 2—2

უზომოთ დამწუხრებულნი ძმები: დიმიტრი და სიმონ, რძალი ივდითი, შვილები ევგენი და ანნა კალანდარიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

მატრონა ქიქოძისა

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, პარასკევს, ნოემბრის 8 ს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, პეტრე-დიდის ქუჩა, № 24. 2—2

უზომოთ დამწუხრებულნი დები თეო, ნინუცა და ნატო, სიძეები: ირაკლი რამიშვილი და ივანე ავსაჯანოვი, დისწულები: გერმანე მგალობლიშვილი, ბიძინა, ხვარამზე და დარეჯან რამიშვილები და რაია რაევიჩი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

მატრონა ქიქოძისა

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა-ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, ნოემბრის 8 ს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, პეტრე-დიდის ქუჩა, № 24. 2—2

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ანტონ და ივდითი, ბებია ნინო, ძმები: ტუტუ, ეპიფანე და პეპულა, და თამარა, ბიცოლა მელანია და ბიძაშვილები: თინა და თომა აუწყებენ მეგობარ-ნაცნობთ, რომ თფილისში, მიხაილოვის საავადმყოფოში 3 ნოემბერს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

აკაკი ანტონის ძე სიხარულიძე,

რომლის გამოსვენება თფილისიდან მოხდება 8 ნოემბერს, ხოლო დაკრძალვა ს. ჭალის მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: იოსები და პარასკევა, ბებია ნინო, დები მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე მაგრამ მძიმე ავათ მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

თამრო ბოძაშვილი.

მეოთხე კლასის მოწაფე. გარდაცვალება მოხდა 2 ნოემბერს, დასაფლავებულ იქმნა 4 ნოემბერს. ქ. თელავში შვიდის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი მის საფლავზე, ქალაქის სასაფლაოზე. 2—1

ალექსანდრა სიმონის ასული და შვილები: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალია სევერიანეს ასულნი ჯულელები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დისწული მეორეების დედიდაშვილი

თამრო ბოძაშვილი.

შვიდის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი 9 ნოემბერს (ახალი სტ.) ქ. თელავში, მის სასაფლაოზე.

ქვრივი ზინობია სოლომონის ასული ნამორაძისა, შვილები: გიორგი და შალვა ანდრიას ძენი და რძალი ოლღა ვასილის ასული ნამორაძეები, ქალიშვილი ოლღა ანდრიას ასული და სიძე მიხეილ პავლეს ძე კინწურაშვილი, ძმისწული გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოოზ ნამორაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 9 ნოემბერს ქ. გორში ოქონის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მღვდლის

ანდრია გიორგის ძის ნამორაძის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

გოგოლი დიმიტრის ასული ბერეჟიანისა, პელაგია და თამარა ბერეჟიანები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ დაბა ხიდისთავში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე და დანარჩენების ძვირფასი მამა

ჯიმშეთი ბექანის ძე ბერეჟიანი.

ნინო ნიტიფოს ასული, ეფროსინე, მიხეილ და სიმონ ბერეჟიანები, ბარბალე და დიმიტრი ნაკაშიძენი, ანეტა სიხარულიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ დაბა ხიდისთავში გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მაზლი და დანარჩენების ბიძა.

ჯიმშეთი ბექანის ძე ბერეჟიანი.

ელენე მახარობლის ასული, შვილები ლეონიდა, ვალერიან, ქეთო და მარო კალანდაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ნათლიის

ჯიმშეთი ბაქანის ძე ბერეჟიანის

გარდაცვალებას დაბა ხიდისთავში. (1—1)

ქ. ოჩემჩირეში

ამ წლის 15 ნოემბრიდან იხსნება სრულ უფლებიანი მთავრობის

ქართულ-აფხაზური გიმნაზია.

სწავლა იქნება რუსულ ენაზე. ქართული ენა ყველასათვის და აფხაზური აფხაზთათვის სავალდებულოა. ჯერ გაიხსნება ორი კლასი მე-V და VI სწავლის გადასახადია 250 მან. ნახევარ-წლიური. ყველა პირველ-დაწყებით სასწავლებელ დამთავრებულნი და ოთხ კლასიან მოწმობით მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენთათვის იქნება გამოცდები ყველა საგნებში 15 ნოემბრამდის. თხოვნები მიიღება ქ. ოჩემჩირეში გიმნაზიის გამგის სახელზე.

საჭიროა ქართულ აფხაზურ და გერმანულ ენის მასწავლებლები.

გიმნაზიის გამგე როინაშვილი.

## დაშნაკელები და ლტოლვილები

„დაშნაკცაკანების“ აგიტაცია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ დღითი დღე უფრო და უფრო მატულობს და ამ ბოლო დროს სრულიად შეუწყნარებელ ფორმას ღებულობს. ის, რაც „ორიზონში“ და „აშხატავორში“ იბეჭდება უშვერებელი ასოებით და მთელი გაზეთის სიგანეზე პლაკატების სახით, გვიჩვენებს, რომ მათ მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვთ საბოლოვოთ ჩატეხონ ხიდი ქართველ მთავრობასა და სომეხ ხალხს შორის, ქართველები და სომხები ერთმანეთს წაჰკიდონ და მორიგება და კეთილ მეზობლური ცხოვრება მათ შორის შეუძლებელი გახადონ. „ორიზონის“ და „აშხატავორის“ ყოველი უკანასკნელი ნომერი წარმოადგენს ნამდვილს საპროვოკაციო პროკლამაციათა კრებულს, ყოველ სტრიქონში აჯანყებისაკენ მოწოდებაა დაფარული, ტყუილების და ჭორების კორიანტელი ისე ოსტატურათ არის დაყენებული, რომ მკითხველი მასში ვერ გამოერკვევა, ვერ გაარჩევს, სად არის სიმართლე, სად არის სიცრუე, და რჩება ფაქტების მხრივ გამოურკვეველი, მაგრამ სულიერი განწყობილების მხრით კი მძულვარებით და გაბოროტებით აღსავსე. ბრძოლა ამ ოსტატურ ინტრიგასთან და ტყუილების ქსელთან ფაქტებით ხელში შეუძლებელი ხდება. როდესაც ადამიანი ან პარტია მიზნათ იმას ისახავს, რომ სიცრუე ავრცელოს, მაშინ მასთან ბრძოლა ფაქტებით ხელში უნაყოფო საქმე ხდება. აბა რაინაირათ გინდა დაარღვიო ამნაირი ისტერიული ყვირილი: „მიხსენით ლტოლვილ სომეხთა ულეტა!“. „ნუ მართავთ საქართველოში მეორე მესოპოტამიას!“ ან რა სიტყვიერ საშუალებით გინდათ ებრძოლოთ იმ პროვოკატორ „მწერლებს“, რომლებიც თავის მოპირდაპირე პუბლიცისტებს მიაძახებენ: „თქვენი ხელებიც გასვრილია სომეხთა სისხლშიო“. ან კიდევ რანაირი ლოღიკურის გზით ან ფაქტების დარღვევით გინდათ დაამტკიცოთ სიცრუე „აშხატავორის“ ამნაირ სიტყვებისა: „წმინდა პოლიტიკურის მიზნების გულისთვის ეს პოლიტიკა (საქართველოს მთავრობისა) ცდილობს დააუძლუროს და დაღუპოს სომეხი ლტოლვილებიო“.

„ორიზონის“ და „აშხატავორის“ წერილებს არ შეიძლება ისე შეხედოთ, როგორც პუბლიცისტიკას, როგორც საწერლო ასპარეზზე იდეურ მოღვაწეობას; მათი მწერლები არ არიან ის „თანამოკალმენი“, თუნდაც მოწინააღმდეგე ბანაკისა, რომლებთანაც შესაძლებელია ბრძოლა იდეურათ, კალმით ხელში. მათი ნაწერი პუბლიცისტური წერილები კი არა, სისხლის სამართლის მასალაა, მათ პუბლიცისტებს გაზეთის ფურცლებზე კი არ უნდა ებრძოლო, სისხლის სამართლის კანონების საშუალებით უნდა ალაგმავდე.

მაგრამ ამ ტყუილების კორიანტელში ერთი რამის გარჩევა და გამომჟღავნება კი შესაძლებელია: „დაშნაკცაკანებს“, რომელთაც თავიანთ აგიტაციის საგნათ სომეხი-ლტოლვილნი გაიხადეს, სრულიადაც არ აწუხებთ ამ ლტოლვილთა ბედი; მათი უბედურება „დაშნაკელებისათვის“ მხოლოდ გამოსაყენებელი საშუალებაა და არა გულისტკივილის და შველის სურვილის აღმძვრელი მოვლენა. ლტოლვილნი მათთვის არ არიან ის ხალხი, რომელსაც დახმარება და ადამიანური თანაგრძნობა სჭირიან, ეს მათ ხელში უბრალო მასალაა, რომლიდანაც ისინი თავიანთ „დაშნაკურ“ პოლიტიკას ჰქმნიან. ამის დამტკიცება არც იყო ძნელია.

„დაშნაკელებმა“ მშვენივრათ იციან, რომ ლტოლვილთა საკითხის გადაწყვეტა მათი პოლიტიკის წყალობით გაძნელდა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ წინადადებით მიმართა სომხეთის მთავრობას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თავმოყრილ სომეხ ლტოლვილთა ერთი მესამედი მას მიეწყო სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იმ სოფლებში, რომლებიც დაცალეს თათრებმა: ამ უკანასკნელთ სომხეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ არა ისურვეს იქ ცხოვრება და გადასახლდნენ ოსმალთა მიერ დაჭერილ ახალქალაქის მაზრის სოფლებში, რომლებიც სომეხ მცხოვრებით ლტოლვის გამო დაიცალა. ისე რაც საქართველოს მთავრობას ჰქონდა აზრათ, იყო ერთნაირი მცხოვრებთა გაცვლა ეროვნების მიხედვით, სომხეთისთვის ეს იყო ტერიტორიის ეროვნულად შემოფარგვლა, რაიც ნაციონალურ საკითხის ყველა თეორეტიკოსებისაგან სასურველათ არის აღიარებული, თუკი იგი უტკივნეულოთ ჩაივლის. მოიწონებს, თუ არა, „დაშნაკელებმა“ შემთხვევით ესარგებლათ და დათანხმებულიყვნენ ამნაირ შემოფარგვლაზე?— „დაშნაკელები“, თავის თავს უმტყუნებდენ, რომ ამაზე დათანხმებულიყვნენ: მათ ლტოლვილთა ტანჯვის მოსპობა კი არ აწუხებდათ, ისინი თავიანთ პოლიტიკანობით იყვნენ გატაცებულნი, ისინი ხელმძღვანელობდნენ „დიდი სომხეთის“ იდეალით, უშინოდათ ახალ-ქალაქის მაზრაში სომეხ მცხოვრებთა რიცხვი არ შემცირებულიყო; მათ ლტოლვილთა ეხლანდელი უბედურება კი არ ალონებდათ, მათ სომხეთის სახელმწიფოს მომავალი გაძლიერება უფრო აფიქრიანებდათ: მათ აზრათ ჰქონდათ მომავალში ახალ-ქალაქის მაზრაზე პრეტენზია გამოეცხადებინათ, და ამ განზრახვაზე როგორ აიღებდენ ხელს? ამიტომ მოხდა, რომ ლტოლვილთა საკითხი გართულდა და ლტოლვილთა მდგომარეობა გაუარესდა.

თუ აქ „სისხლზე“ შეიძლება ლაპარაკი, ამ სისხლში ყველაზე წინ თვით „დაშნაკელებს“ აქვთ ხელი გასვრილი. თუ აქ „მესოპოტამიას“ შეადარეთ სომეხ ლტოლვილთა ბედი, ეს „მესოპოტამია“ თვით „დაშნაკელებმა“ მოუწყეს ლტოლვილთა ერთს მესამედს მაინც, რომელნიც სომხეთს შეეძლო შეეფარებინა თავის ცის ქვეშ და რომლებიც „დაშნაკელთა“ პოლიტიკანობის წყალობით არ შეიფარეს.

„დაშნაკელებს“ არ აინტერესებთ არც ლტოლვილთა ბედი, რომლის გამოც ფარისევლურათ აყრუებენ ქვეყანას, არც ნაციონალურ შუღლის განელება. პირიქით, ნაციონალური შუღლი მათი სტიქიონია, ნაციონალური მტრობა ის ჰაერია, ურომლისოდაც ისინი ვერ იცოცხლებენ. პროვოკაციის და ინტრიგების წყალობით მათ ყველგან უთესიათ ეს შუღლი და მტრობა და ყველგან მოუმკიათ კარგი მოსავალი ერთა შორის ხოცვა-ჟლეტისა. მათ პროვოკაციას გადურჩა ერთი ადგილი, სადაც მათ ვერ მოახერხეს შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ—ეს ადგილი საქართველოს ტერიტორიაა. ქართველ და სომეხ ხალხთა შორის მათმა პროვოკაციამ ნიადაგი ვერ იპოვა. და აი, დღეს ისინი უკანასკნელ ძალას იკრებენ, რომ ამ მიზანს მიაღწიონ: ადვილ-წახსნილი დემაგოგია ხალხში, ცილისწამება და სიცრუე პრესაში, პროვოკაცია—მოქმედებაში,—ყველა საშუალებები ერთად აამუშავეს მათ თავისი სურვილის განსახორციელებლად.

მიაღწევენ, თუ არა თავის წადილს? მოახერხებენ, თუ არა, დათესვას ქართველთა და სომეხთა შორისაც მტრობისას, როგორც ეს მოახერხეს სომეხ თათართა შორის? „დაშნაკცაკანების“ პოლიტიკანობის ნაყოფი ჯერ კიდევ თვალ-წინ გვაქვს: მათი პოლიტიკის შედეგია ბაქოს, შემახის ამბები, მათი პოლიტიკური „გამარჯვება“ იყო ის, რაც მოხდა ოსმალეთა შემოსევის წინ, ერევნის გუბერნიაში, ახალ-ქალაქის მაზრაში და მრავალგან სხვაგან. სომხის ხალხი, რომელშიაც „დაშნაკელები“, საუბედუროთ, ჯერ კიდევ ბატონობენ, ადრე თუ გვიან უნდა გამოერკვიოს, უნდა დაინახოს ის დაღუპვის გზა, რომელზედაც იგი მიჰყავთ თავის მეთაურებს. ამ გამორკვევის ნიშნებს თითქოს ვხედავთ კიდეც: ცნობები მოდის, რომ „დაშნაკელთა“ კაცთ-მოძულე აგიტაციამ ისე გაუჭირა საქმე თვით სომეხ-ლტოლვილებს, რომ ისინი ადგენენ საზოგადოებრივს „განაჩენებს“, რომლებშიაც საქართველოს მთავრობას ემუდარებიან, თავიდან მოგვაშორეთ აგიტატორები, რომლებსაც უნდათ ჩვენი და ქართველების ერთმანეთთან გადამტერებაო.

თუ მთელი სომხის ხალხი დაადგება ამ გზას და „დაშნაკელებს“ ზურგს უბრუნებს, ქართველ სომეხთა ნაცადი და მრავალ საუკუნეებით განმტკიცებული ძმობა მეზობლობა შეურყეველი დარჩება და ვერავითარი ბოროტება კაცთ-მოძულე ინტრიგანებისა ვერ გადაამტერებს ამ ორ ერს.

## ჩვენც ვხნავდითო...

ქართველი ხალხი, განსაკუთრებით მისი დემოკრატიული ნაწილი, თავგამოდებით იცავს ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. ის არავითარ მსხვერპლის გაღებას არ ერიდება ამ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად; დემოკრატიულ საქართველოს ტერიტორიის თითქმის ყოველი კუთხე ხალხის შვილების სისხლითაა მორწყული.

და ამ დროს გამოდის ჯგუფი, რომელსაც თითი არ გაუნძრევია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის, მაგრამ მაინც ცდილობს დაარწმუნოს ქვეყანა, რომ მისმა მეცადინეობამ გააბედნიერა საქართველო. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები ამ ბოლოს დროს ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ იმ ვითომდა მოღვაწეობაზე, რომელნიც ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველ წელიწადს აწარმოებდენ საქართველოს „განთავისუფლების“ საქმეს.

ამ დღეებში დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების კვირეულ გაზეთ „კლდე“-ში დაიბეჭდა ტექსტი იმ შეთანხმებისა, რომელიც ოსმალეთსა და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს“ დაუდვიათ ერთმანეთს შორის. ეს ხელშეკრულობა დიდათ საინტერესოა იმ მხრით, რომ სავსებით ააშკარავებს ჩვენი ნაციონალისტების სულიერ და პოლიტიკურს ავლადიდებას და ამიტომ გვსურს ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ მისი შინაარსი.

შეთანხმება მომხდარა 1914 წელს. თანხმდებიან: ერთის მხრით ოსმალეთის მთავრობა, ხოლო მეორეს მხრით ეს კომიტეტი.

კომიტეტი მოხერხებულ დროს აღდგენს საქართველოს დროებითს მთავრობას და აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას ისტორიულ საზღვრებში. ოსმალეთი ამ დამოუკიდებლობას იცნობს და ხელსაც შეუწყობს მას. კომიტეტი ეწევა აგიტაციას რუსეთის წინააღმდეგ და ოსმალეთის სასარგებლოთ. ოსმალეთი შველის საქართველოს მთავრობას იარაღის მიწოდებით. კომიტეტი ნებას აძლევს ოსმალეთს ისარგებლოს ჩვენი რკინის გზებით და ჯარისთვის სურსათის რეკვიზიცია მოახდინოს საქართველოს მთავრობის საშუალებით და სხვა და სხვა.

ეგრეთ წოდებული „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ რომ ღალატობდა რუსეთს და მოწინააღმდეგე ოსმალეთთან კავშირს კრავდა ეს ჩვენ არ გვიკვირს; არც ის გვიკვირს, რომ ოსმალეთისაგან მოელოდა ის საქართველოს ისტორიულ ტერიტორიის ცნობას და დაცვას. მაგრამ ვერ გაგვიგია: როგორ გათავხედდა ისე რამდენიმე ახალგაზდა, რომ საქართველოს სახელით იწყო ლაპარაკი და ხელშეკრულობაც კი დასდო ოსმალეთთან ქართველი ხალხის ზურგს უკან. და ეს იმ დროს, როცა ჩვენ გვყავდა საკმაოთ ძლიერი და შეკავშირებული პარტია, რომელსაც ხალხის უმეტესი ნაწილი მიჰყვებოდა.

ახლა ეს თავზე ხელ-აღებული ავანტიურისტები გამომდგარან და თავსაც იქებენ.

და თუმცა ყველა ჭკვიან და რიგიან ადამიანისთვის ცხადია, რომ ამ ავანტიურისტების მოქმედებისათვის ქართველი ხალხი არ უნდა იყვეს პასუხისმგებელი—სომხის შოვინისტების რუსული „კავკაზსკოე სლოვო“ მაინც ასეთის სათაურით ბეჭდავს ამ ხელშეკრულებას: „ქართველების შეთანხმება ოსმალეთთან 1914 წელს“.

ამით სურთ სომხის ნაციონალისტებს საკუთარი დუხჭირი სახე დამალონ და ქვეყანას დაუმტკიცონ ქართველ ხალხის მოღალატეობა რუსეთის წინაშე.

ჩვენ კი გვგონია, რომ სომეხი შოვინისტები მიზანს ვერ მიაღწევენ: ქართველ ხალხისათვის სახელის გატეხას ისინი ვერ შესძლებენ, როგორც ქართველი ნაციონალისტები ვერ შესძლებენ იმის დამტკიცებას, რომ მათ რაიმე ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს წინაშე.

ისტორია სამართლიანია და ის თითონ განსჯის ყველას და შესაფერს ალაგს მიუჩენს.

## საქართველოს „მესოპოტამია“

საქართველოს მესოპოტამია უწოდეს დაშნაკელებმა წალკას, ბაკურიანს, მესამე ვერსის სადგურს და ერთი სიტყვით ყველა იმ ადგილებს, სადაც თავმოყრილი არიან ლტოლვილები.

ამ ომის დროს ოსმალეთის მთავრობამ ასი ათასობით გადაასახლა სომხები მესოპოტამიის უდაბნოში, მეწამული ზღვის ნაპირად. აგრე მოექცა ოსმალეთის მთავრობა თავის სახელმწიფოს მოქალაქეთ, სდევნა რა მათ ბრალს სახელმწიფო ღალატში!

ეჭვი არაა, მეტად მძიმე სასჯელი ხვდა წილად სომხის ხალხს ოსმალეთში. თავის თავად ცხადია, მთელი ერის მოღალატედ გამოყვანა უსასტიკეს ზომებსაც გამოიწვევს მთავრობის მხრით.

არა გვგონია, რომ რომელიმე სახელმწიფოში მცხოვრები ერი ერთიანად მოღალატე იყოს. ასე ვუცქერით ჩვენ ოსმალეთის სომხებს, მაგრამ ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ სომხის ერის ერთიანად მოღალატის როლში გამოსაყვანად დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის დაშნაკცუტიუნის პარტიას.

და ეს მოიმოქმედა ამ პარტიამ იმიტომ, რომ „გაენთავისუფლებია“ ოსმალეთის სომხეთი ოსმალთა დესპოტის ბრჭყალებისაგან. ის სომხეთი, სადაც სომხები მაჰმადიან მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლებს თუ არა, მეტს მაინც არ შეადგენენ.

დაშნაკცუტიუნმაც მიზნათ დაისახა ოსმალეთის დესპოტიის მოსპობა ოსმალეთის შინაურ სოციალურ ძალებთან შეთანხმებით კი არა, არამედ—დიპლომატიური გზით, რუსეთის თვითმპყრობელობასთან ერთად.

სომხის ხალხი ამ პარტიამ დაუპირდაპირა ოსმალთ. და რა შედეგიც მოიტანა ამ პოლიტიკამ, ყველას თვალწინ გვიდგას. სომხეთის ტერიტორია მართლაც გაანთავისუფლა დაშნაკცუტიუნის პარტიამ, მაგრამ არა ოსმალთა დესპოტიის ბრჭყალებისაგან, არამედ—სომხებისაგან.

მესოპოტამიის უდაბნო და იქაური საფლავი, აი რა არგუნა ბედმა სომხის ხალხს ოსმალეთში დაშნაკცუტიუნის წყალობით!

ოსმალეთში რომ პოლიტიკას აწარმოებდა დაშნაკცუტიუნი, იმ გვარსავე პოლიტიკას აწარმოებს ჩვენში, საქართველოში: სომხის ხალხის გამოყოფა საქართველოს სხვა მოქალაქეთაგან, ამ ხალხის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება, სომხის ხალხისთვის ყოველდღე იმის ჩაძახება, რომ საქართველოში გარს მხოლოდ მტრები ახვევია და სხ.

რა მოჰყვება შედეგათ ამ გვარ მოღვაწეობას? სომხის ხალხის სრული განმარტოვება, მისი ხვების წინააღმდეგ დარაზმვა; და განა გასაკვირველი იქნება ვისმესთვის, რომ ამ გვარ მუშაობას შეტაკება, ერთა შორის ჟლეტა მოჰყვეს? მაგრამ დაშნაკელები ამ შემთხვევაში, აბა, რას დაჰკარგავენ! თავი მოგვიკვდება ჩვენ, თორემ დაშნაკელებს როდის დაუზოგავს სომხის ხალხის ან სხვა ერის სისხლი?

არ დაუზოგავთ ის მათ არც ოსმალეთში, არც კავკასიაში!

საქართველო დღემდე ამ მხრით შემონახული ქვეყანა იყო და სწორედ ეს წმინდა ადგილი ჰპყრით წაბილწონ დაშნაკელებს...

ბრძოლის იმ გვარივე წესები, როგორიც ოსმალეთში სჩვევიათ დაშნაკელებს, იმ გვარივე თავხედობა-გაუტანლობა საქართველოშიც გადმონერგა ამ პარტიამ...

საქართველოში მცხოვრებ სომხებში რომ დიდი გასავალი ვერ ჰპოვა დაშნაკცუტიუნის პარტიამ, სომეხ ლტოლვილებში დაიწყო ის. იმ ლტოლვილებში, რომლებიც უმთავრესად ჩვენი სამშობლოს მოქალაქეებს არ შეადგენენ, ეს ლტოლვილები უცხო სახელმწიფოს მკვიდრნი არიან. მათთვის, კარგად მოეხსენება დაშნაკელთ, საქართველოში თავისუფალი მიწა წყალი არ არის და სხ., მაგრამ ისინი ამას არ აქცევენ ყურადღებას.

საქართველოს განა არ მოეპოება „მესოპოტამია“? დიახ, ეს შეიძლება გამონახულ იქნას.

„ორიზონ - აშხატავორ - კავკაზსკოე სლოვოს“ ის მწერლები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკას ძირს უთხრიან, სომეხთა ის მოღვაწეები, რომლებიც ლტოლვილებში დაძრწიან, მთავრობამ რომ დასაჯოს, განა ეს „მესოპოტამია“ იქნება?!

არა, ეს მესოპოტამია არ იქნებოდა... სომეხი ვაჭარი, ბანკირი, ინტელიგენტი და საზოგადოთ სომეხი განურჩევლათ რომ დაეპატიმრებია ჩვენს მთავრობას:

ზამთარში მათთვის მოეწყო კონცენტრაციული ბანაკი, ვთქვათ, ნაქერალას მთაზე, საიდანაც სამუშაოდ გამორეკავდნენ ყოველ დღე ტყიბულის მაღაროებში,—ზაფხულში რომ ეს ხალხი ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეზე ემუშავებინა, ეს იქნებოდა ნამდვილი მესოპოტამია. ასეთი რამ არაფერი არ არის ჩვენში, არც შეიძლება შეიქმნეს, ვიდრე სახელმწიფოს სათავეში ეყოლება ხალხის ნდობით აღჭურვილი დემოკრატიული მთავრობა. და თუ დაშნაკელები მაინც საქართველოს „მესოპოტამიაზე" გაიძახიან—ეს ჩვენ დავინახეთ რა მიზანიც აქვთ მათ!

„კავკაზსკოე სლოვოს" გადმოცემით, 6 ნოემბერს „სომხურმა გაზეთებმა აშარებელი წერილები უძღვნეს სომეხ ლტოლვილთა უბედურ მდგომარეობას. „ჰორიზონ"მა მეორე და მესამე გვერდზე დიდი ასოებით შემდეგი დასტამბა: „ბოლო მოეღოს სომეხ ლტოლვილთა მშვიდობიანის გზით გაჟლეტას. საქართველოს მესოპოტამია — წალკა, ბაკურიანი, მესამაც ვერსი, არ შეიძლება ამის შემდეგ ატანილ იქნას. კაცთმოყვარეობის სახელით ჩვენ მოვითხოვთ: 1) ლტოლვილების თავიანთ ადგილებზე დაბრუნებას, 2) კონცენტრაციული ბანაკების მოსპობას. გაზეთი მოუწოდებს სომხეთის მთავრობას, საქართველოში მცხოვრებ სომხებს, თფილისში არსებულ ყველა ორგანიზაციებს და საზოგადოთ ყველა მოქალაქე სომეხს, პროტესტი განუცხადოს და მოითხოვოს ბოლო მოეღოს ლტოლვილ სომეხთა მშვიდობიანის გზით განადგურებას".

საქართველოს მოქალაქე ლტოლვილი სომხები საქართველოშივე დარჩებიან, ისინი თავიანთ კერას დაუბრუნდებიან, უცხო სახელმწიფოდან შემოხიზნული სომეხი ლტოლვილნი საქართველოდან უნდა გავიდენ. მათი ყოფნა ჩვენში დროებითია. მათ დასასახლებლათ თავისუფალი მიწა-წყალი არ მოგვეპოვება. ჩვენში დროებით მცხოვრებთ, ვინც არ უნდა იყოს ის, შეძლების დაგვარათ დახმარებას გავუწევთ.

აი რა არის ჩვენი პასუხი.

## სამიწათმოქმ. რეფორმა

IV.

**ვის უნდა მიეცეს მიწა და რამდენი?**

ბევრს ჰგონია რომ მიწების საშუალებით შეიძლება დავაკმაყოფილოთ ყველა მაშვრალნი და ტვირთმძიმენი. ამიტომ, ფიქრობენ ისინი, მიწა ყველას უნდა მიეცესო.

მიწის რეფორმის განხორციელებით კი ჩვენ გვინდა მოვსპოთ ბატონყმური ნაშთები სოფლათ და ხელი შეუწყოთ მეურნეობის განვითარებას. მაგრამ ამისთვის ხომ არ არის საჭირო ყველა ბოგანო და ფიზიკური მუშაობის შემძლე პირი მიწით დავაჯილდოვოთ. ამ შემთხვევაში მიწის საზიანო სპეკულიაცია დატრიალდებოდა, რადგან ისინი, რომელნიც ჩვეულებრივ არ აწარმოებენ სოფლის მეურნეობას, სულ ერთია, მიღებულ მიწას ან გაჰყიდიან ან იჯარით გასცემენ. ეს, რასაკვირველია, ვერ შეუწყობს ხელს ვერც მეურნეობის განვითარებას და ვერც გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქედან კი ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ მიწის მუშას, ე. ი იმ პირს, რომლის ცხოვრების წყაროს სოფლის მეურნეობა შეადგენს და რომელიც თითონ ამუშავებს მიწას. ასეთი კი სოფლის მცხოვრებია.

საკითხი, თუ რამდენი უნდა მიეცეს, პრინციპიალურათ ადვილი გადასაწყვეტია: მისცემ იმდენს, რამდენის დამუშავებასაც ის შესძლებს; მაგრამ პრაქტიკულათ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მიწის სიმცირე: ზოგი ისეთი კუთხეა ჩვენში, რომ გასაყოფი არაფერი რჩება, ასეთია, მაგალითად, რაჭა. ასეთი კუთხის მცხოვრებლებისათვის სახელმწიფომ სხვა საშუალება უნდა გამოსძებნოს, უნდა მოაწყოს მათი დასახლება იმ ადგილებში, სადაც ბლომათ არის თავისუფალი მიწა. ასეთი ადგილები ჩვენში ბლომათ მოიპოვება: ასეთია იმერეთი, ქართლ-კახეთი და სხვ.—იქ უნდა გავანაწილოთ მიწის ფონდის რაოდენობის და სამეურნეო ოჯახის სიდიდის მიხედვით. მაქსიმუმათ, რომლის ზევით არავის არ უნდა მიეცეს მიწა, უნდა ჩაითვალოს დატოვების ნორმა, რომელიც კანონით უდრის 7 და 15 დესეტინას. ვისაც უკვე აქვს აღნიშნული ნორმა, მას აღარ მიეცემა, ხოლო ვისაც ნაკლები აქვს, მას მიუმატებენ ნორმამდის, თუ რასაკვირველია, თავისუფალი მიწა მოიპოვება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გლეხობის ზოგი კატეგორიები, რომელნიც განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდნენ. ესენია დროებით ვალდებულები და ხიზნები. დროებით ვალდებულებს, რომელთაც გამოყოფილი „ნადელები" აქვთ მიწა, არ ჩამოერთმევათ, თუნდაც ნორმაზე მეტი ჰქონდეთ. თუ ასეთს გლეხებს ნორმაზე ზევით მოეპოვებათ სხვა გზით შეძენილი მიწა, ის საერთო წესით ჩამოერთმევათ.

რაც შეეხება ხიზნებს, კანონმა უკვე გადასწყვიტა მათი ბედი: ნორმაზე ზევით მათ მიწები ერთმევათ, ხოლო ის, რაც ნორმას არ აღემატება, უსასყიდლოთ ეძლევათ კერძო საკუთრებათ. ასე, რომ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების დროს, ხიზნების სახელზე ფორმალურათ უნდა იქნას დამტკიცებული მათი სახიზნო „ნადელები".

აღსანიშნავია კიდევ ერთი მხარე აგრარულ რეფორმის: ფონდში გადასული ყველა მიწები გლეხებს არ დაურიგდება. ასეთია უვარგისი მიწები, ტყეები და მადნები. ამ კატეგორიის მიწები სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენენ. უნდა შევჩერდეთ ორიოდე სიტყვით ტყეებზე. რაკი ტყეები სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენენ, ბევრ ალაგას გლეხებს დაუწყიათ ტყეების ჩეხვა. ჩეხენ ისეთს ადგილებსაც კი, რომელნიც ტყეებათ არ ჩაითვლება. ასეთია მაგალითად სამოსახლოებზე მოდებული ან ცალკე პატარა ადგილები, სადაც მუხის ხე, წიფელი და სხვ. ტყის მცენარეები იზრდება. ასეთ ადგილებს გლეხები ზოგან ჩეხენ—სულ ერთია მაინც ჩამოგვერთმევაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ადგილები ტყეებათ არ ჩაითვლება და ამიტომ არც არავინ ჩამოართმევს გლეხს ამ ადგილებს.

## საქართველოს დამფუძნებელი კრება

რუსეთის დიდი რევოლიუციის უდიდესი ლოზუნგი დამფუძნებელი კრების მოწვევა იყო. რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან მოელოდა რუსეთში მცხოვრები ერები და განსაკუთრებით ქართველი ერის შეგნებული დემოკრატია ყველა იმ პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ დღიურ წესრიგში დასვა გადასაჭრელად და სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართველ დემოკრატიას არავითარი სეპარატიული გამოსვლები არ უწარმოებია და მუდამ რუსეთის დემოკრატიის ბედს უკავშირებდა თავის ბედს, მაგრამ რუსეთში გამეფებულმა ანარქო-ბოლშევიკურმა მოძრაობამ რუსეთი რამოდენიმე ნაწილებად დაჰყო და თვითეული ნაწილი შეუდგა თავისებურად მართვა-გამგეობის მოწყობას. ამას უმთავრესად ხელი შეუწყო ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე ჩვენი მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულების უპირველესი მიზანი იყო, რაც შეიძლებოდა ჩქარა მოეწვია საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც საბოლოოთ შეიმუშავებდა ფორმას დემოკრატიული რესპუბლიკის წყობილებისას. ამ მიზნით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აირჩია დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და შეედგინა არჩევნებისათვის საჭირო ხარჯთ აღრიცხვა. ხსენებულმა კომისიამ შემუშავებული დებულება არჩევნებისა და საჭირო ხარჯთ აღრიცხვა უკვე წარმოუდგინა პარლამენტს, და უკანასკნელმა იგი განიხილა და დაამტკიცა. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რამდენათ დემოკრატიულ პრინციპებზეა აშენებული არჩევნებისთვის შემუშავებული და დამტკიცებული დებულება. ჩვენი მიზანია ამ წერილში ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, თუ რაგვარ დადებით და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს საქართველოს პარლამენტი და მისი ნდობით აღჭურვილი დემოკრატიული მთავრობა,

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ზემოხსენებულმა ორგანოებმა მიზნათ დაისახეს განეხორციელებინათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა ის დიადი ლოზუნგები, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა. და ამ ლოზუნგებში უმთავრესი იყო მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, ერობის შემოღება და საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა. ყველა ამ კითხვების განხორციელებისათვის ჩვენმა მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო. მიწის რეფორმა, უდიდესი სოციალური რეფორმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში და მაშასადამე, მისი განხორციელება მოითხოვს დიდ დროს და დიდ ცოდნა გამოცდილებას, მაგრამ როგორც ვიცით, ამ რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლათ მიღებულია ყოველივე ზომები, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ნახევარი წლის განმავლობაში მისი სრული განხორციელება მოხდება.

რაც შეეხება საერობო თვითმართველობების მოწყობას, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს დემოკრატიის კეთილდღეობისათვის, ეს რეფორმა ცოტას გამოკლებით უკვე ცხოვრებაშია გატარებული და მრავალ ადგილას საერობო ერობები უკვე შეუდგენ თავიანთ ფუნქციების ასრულებას. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევისათვისაც საქართველოს პარლამენტმა თავისი საქმე უკვე გააკეთა, მან დაამტკიცა როგორც საარჩევნო დებულება, ისე საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. მთავარი ხელმძღვანელობა არჩევნების კანონიერათ ჩასატარებლათ ეკისრება პარლამენტის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომისიას, რომელსაც ამ დღეებში აირჩევს საქართველოს პარლამენტი. ამ რიგათ, თუ გარეშე პირობებმა ხელი არ შეგვიშალა, დაახლოვებით ოთხი ხუთი თვის შემდეგ შეიკრიბება საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს ძირითად კონსტიტუციას ჩვენი რესპუბლიკისათვის.

რუსეთის ნანგრევებზე წარმოშობილ მრავალ „დემოკრატიულ რესპუბლიკებში", საქართველოს რესპუბლიკა ერთად ერთი კუთხეა, სადაც ხორცს ისხამს რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებული რეფორმები. იმ დროს, როდესაც ფინლიანდიამ გერმანიის პრინცი მოიწვია მეფედ და უკრაინაში ჰეტმანობა შემოიღეს, საქართველოს დემოკრატია დამფუძნებელ კრების მოწვევის სამზადისშია, რომ უფრო სრულად დემოკრატიული წესწყობილება შემოიღოს საქართველოს რესპუბლიკაში. იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობლების, აზერბეიჯანისა და არარატის რესპუბლიკების მთავრობები, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ მოაწყონ ერთა შორის შური და მტრობა და ამისთვის არავითარ ავანტიურას არ ერიდებიან, ამ დროს ჩვენი მთავრობა ენერგიულად მოქმედებს, რომ დაჩქარებით გაატაროს ცხოვრებაში მიწისა და საერობო რეფორმები დემოკრატიის საკეთილდღეოთ. და ყველა ეს ხდება მით, რომ ჩვენს დემოკრატიას სათავეში უდგია ისეთი ბელადები, რომლებიც მუდამ ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. ჩვენმა დემოკრატიამაც კარგათ შესძლო მათი მოღვაწეობის დაფასება და ბოლომდის დარჩა მათი ერთგული და სწორეთ ამიტომაა, რომ ჩვენს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ანგარიში გაუწიეს და იცნეს მრავალმა ევროპის სახელმწიფოებმა.

ჩვენმა მთავრობამ და დემოკრატიამ გამოიჩინა დიდი ნიჭი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და რამოდენიმე თვის განმავლობაში შესძლო სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობა.

დამფუძნებელი კრების მოწვევა კიდევ ერთი ნაბიჯია წინ გადადგმული სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში, რაიც ჩვენს მტრებს კიდევ უფრო გააწბილებს და სიმშვიდეს დაუკარგავს, როგორც ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა რაიმე დადებით ნაბიჯს გადადგამს ჩვენი რესპუბლიკის აშენების წინსვლელობისათვის. ხოლო გარეშე სახელმწიფოებისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევას ექნება უდიდესი მნიშვნელობა, რაიც ხსენებულ სახელმწიფოებს კიდევ უფრო დაარწმუნებს, რომ საქართველოს დემოკრატიას შეუძლია საკუთარ ფეხზე დგომა და დამოუკიდებლათ თავისი სახელმწიფოს მართვა გამგეობა. ეს გარემოება კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებსაც ჯერ არ უცვნიათ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ყველა ეს გარემოება ავალებს საქართველოს დემოკრატიას, მთელი თავის ძალ-ღონით ხელი შეუწყოს სათანადო დაწესებულებას, არჩევნების სასწრაფოთ ჩატარებაში, რაიც თავდები იქნება იმისა, რომ დამფუძნებელი კრება ნამდვილი გამომხატველი იქნება დემოკრატიის ნება-სურვილისა.

ს. ელიაძე.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 7 ნოემბერი.

**ოსმალეთის ვითარება.**

გერმანიის რადიო სადგური სტამბოლში „ოსმანიე" აღარ მუშაობს. წუხელის შესწყდა კავშირი „ოსმანიესა" და ადგილობრივ გერმანულ რადიო სადგურს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელი ტელეგრაფისტები სტამბოლიდან წასულან; თუ ვინ არის იქ და როგორი მდგომარეობაა ქალაქში—ეს ჯერ გამოურკვეველია.

ოსმალეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ზავის პირობები უკვე გამოქვეყნებული იყო. ამას ზედ უნდა დაუმატოთ ის, რომ ოსმალეთს მისცეს ერთი თვის ვადა, რათა გერმანელთა ჯარები ოსმალეთიდან წავიდენ. აგრეთვე წავლენ სამოქალაქო თანამდებობის პირნი. სტამბოლში გერმანელები აღარ არიან. ჯარები ოსმალეთიდან წავლენ შავი ზღვის სხვადასხვა ნავთსადგურებიდან ზღვითვე რუმინიაზე.

**საერთაშორისო ზავის საკითხი.**

ვილსონის პასუხი გერმანიის ნოტაზე, რომ ჩამოვაგდოთ დროებითი ზავი და მოლაპარაკება დაეწყოთ, ბერლინში უკვე მიიღეს, მაგრამ ჯერ გამოურკვეველია მისი ტექსტის შინაარსი. როგორც პირდაპირი შედეგი ამ პასუხისა ის იყო, რომ ბერლინიდან უკვე გაემგზავრა ფრონტზე ახლად არჩეული გერმანიის საზავო კომისია, რომ მოლაპარაკება შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან დაიწყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტში არაფერია ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ზავის ჩამოგდებას შეუძლებლად ხდიდეს. ვაშინგტონიდან პასუხი გაგზავნილია 5 ნოემბერს, იმის შემდეგ, რაც მოხდა ამერიკის კონგრესში ახალი არჩევნები. ამ კონგრესის არჩევნების შემდეგ გამოირკვევა, თუ როგორი იქნება ამერიკის პოლიტიკის მიმართულება და აგრეთვე ვინ იქნება არჩეული ახალ პრეზიდენტათ.

შიგ გერმანიაში წესრიგი და სიწყნარეა. იმპერატორის გადადგომის შესახებ ბჭობს მთელი გერმანული პრესა. მეტად დინჯად და სერიოზულად არჩევს საკითხს მემარცხენე პრესაც, გაზ. „ფორვერტსის" მეთაურობით. შინაურ მდგომარეობაზე „ფორვერტსი" სწერს: „სახელმწიფო ორგანიზმის ყოველგვარ შერყევას შეუძლია გააძლიეროს მხოლოდ ბოლშევიზმის გავლენა"-ო. ლიბკნეხტი და მისი ჯგუფი არ იზიარებს ბოლშევიზმს.

**გერმანიასა და რუსეთს შორის დიპლომატიური კავშირის შეწყვეტა.**

უკანასკნელ დროს მდგომარეობა გერმანიასა და რუსეთს შორის გამწვავდა და დიპლომატიური კავშირი და ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის მთლად შესწყდა. იოფფე ბერლინში აღარ დააყენეს. ის რუსეთში წავიდა. აგრეთვე ქ. მოსკოვიდან წავა გერმანიის დელეგაცია. საქმე იმაშია, რომ იოფფეს დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერლინში ბოლშევიზმის იდეებს ავრცელებდა და პროკლამაციებსაც კი უგზავნიდა. შედეგად დიპლომატიური კავშირის შეწყვეტას, რასაკვირველია, ომი არ მოჰყვება. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ რუსეთის ვითარება ხდება საერთაშორისო საზავო კონფერენციის განხილვის საგნად და რუსეთის შინაურ მდგომარეობაში დაინტერესებული სახელმწიფონი ჩაერევიან და ასე გადაიჭრება მისი ბედიც.

**ნემეცური ავსტრია.**

ნემეცურმა ავსტრიამ სურვილი განაცხადა, რომ ის შეუერთდება გერმანიას. ჯერჯერობით კი დამოუკიდებლათ იქნება, რადგანაც სურვილი აქვთ დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა საზავო კონფერენციაზე.

**ტიროლის შესახებ.**

ტიროლის მისათვისებლად პრეტენზიებს აცხადებენ იტალიელები, მაგრამ ნემეცურ ავსტრიის ეროვნულმა საბჭომ კატეგორიულად განაცხადა, რომ ტიროლი განუყოფელი ნაწილია ნემეცური ავსტრიისა და მისი მისგან ჩამოშორება ყოვლად შეუძლებელია.

**ბაქოს მდგომარეობა.**

გერმანიის დელეგაცია ფონ-გოლცის მეთაურობით, გამოსული ქ. ბაქოდან, 3 ნოემბერს უკვე მოვიდა თფილისში. იქ დარჩა ერთი გერმანელი ექიმი და აგრეთვე სამხედრო ტყვეების საქმეთა კომისარი. ბაქოში იმყოფება 150 ავსტრიელი ტყვე. რაც შეეხება წმინდა ოსმალურ ჯარებს, იქ ეს უკანასკნელნი არ არიან, იქაა მხოლოდ ნური ფაშა, რომელიც აზერბეიჯანის ჯარების უფროსათაა დანიშნული.

**გერმანული ჯარი საქართველოში.**

ის გერმანული ჯარი, რომელიც საქართველოს მთავრობის თხოვნით და ნებართვითაა აქ, არაა გარკვეული, თუ რა ფორმით დარჩება საქართველოში, მაგრამ შესაძლებელია, რომ გერმანიის სარდლობა შეუთანხმდეს საქართველოს მთავრობას, რომ ეს ჯარი ნეიტრალურად ითვლებოდეს.

**ბათუმის ბედი.**

ოსმალეთისა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის დადებულ საზავო პირობებში არის მუხლი, რომელიც ბათუმს ეხება. იქ ნათქვამია, რომ ინგლისელებს უფლება აქვთ ბათუმს ოკუპაცია უყონ. ეს, რასაკვირველია, დროებითია. თუ საერთაშორისო საზავო კონგრესმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა—ბათუმი საქართველოს გადაეცემა.

**საერთაშორისო საზავო კონგრესი და ამიერ კავკასიის რესპუბლიკები.**

დელეგაციის საინფორმაციო განყოფილების პროფესორ ცუგმაიერის აზრით, მომავალი საერთაშორისო საზავო კონგრესი აუცილებლად იცნობს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, რადგანაც ისინი ფაქტიურად არსებობენ. მისი აზრით შვეციამ, შვეიცარიამ და დანიამ რომ იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისი წარმომადგენლებიც დანიშნეს აქ—ეს არ უნდა მომხდარიყო შეთანხმების სახელმწიფოს შეუტყობინებლათ, არამედ—ეს ცნობა ნაყოფია მათი შეთანხმების სახელმწიფოებთან წინასწარი შეთანხმებისა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

7 ნოემბერი.

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. შელდის ველზე ქვეითა ჯარის ბრძოლაა. შელდასა და უაზს შუა ჩვენი ფრონტი უკან დავსწიეთ. მტერმა გუშინ მძლავრი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ იერიშები განაახლა ჩვენ მიერ დატოვებულ თხრილებზე. შემდეგ ბრძოლაში მტერი შევაჩერეთ, ამ ბრძოლამ მორმალის ტყეში და ლანდრესის სამხრეთ-აღმოსავლეთით მკაცრი ხასიათი მიიღო. მტერი საღამოთი იდგა ბივეს დასავლეთით, მორმალის ტყის აღმოსავლეთ ნაპირთან, ლანდრესისა და გიზის აღმოსავლეთით. უაზსა და მაასის შუა გუშინ კარგა მანძილზე უკან დავიხიეთ. მტერი დღის განმავლობაში უკან გვდევდა და საღამოთი მიაღწია მარლე-დიზი ლე-გრანდეკლის საერთო ხაზს. მდ. ენის აღმოსავლეთით მტერს ვებრძოდით, ლე შესნეს აღმოსავლეთით და ბომონტის დასავლეთით. ბომონტისთან და ლე-ტაკნთან იერიშები მოვიგერიეთ. დანის სამხრეთით მაასის აღმოსავლეთ ნაპირების სიმაღლეების ტყეში მილსა და ვილოსკს შუა ამერიკელები დიდი იერიშებით შემოიჭრნენ. საქსონიის მსროლელთა მე 7 პოლკმა ფონტენის მიმართულებით შუაგულ ფრონტში შემოსეულ მტერს უკან დაახევინა და ეპინუას ტყე დაიბრუნა. ბრძოლა მაასის აღმოსავლეთის მხრის მაღლობებზე დასრულდა. მაასის აღმოსავლეთის მხარეზე ბრანდენბურგიის და საქსონიის პოლკმა ხივრის აღმოსავლეთის მაღლობებზე და ეტრეის ტყეში, ამერიკელების განახლებული იერიშები მოიგერია. 4 ნოემბერს მტრის 45 ჰაეროპლანი დავღუპეთ. პოლკოვნიკმა ბოლლემ და ლეიტენანტმა კონეკემ საჰაერო ბრძოლაში 35 ჯერ გაიმარჯვა.

**ბერლინი.** საღამოს ცნობა. ვალანსიენის ჩრდილოეთით ბავეისთან და ოლნუასთან სამხრეთ, სიჰფსა და უაზის შუა მტერმა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ იერიშებს აწარმოებდა, ჩვენი მოძრაობისთვის ხელი რომ შეეშალა, ვერ შესძლო. უაზა მაასის ფრონტზე მკაცრი ბრძოლები არა ყოფილა. მაასის აღმოსავლეთის ნაპირზე ამერიკელებმა იერიშები განაახლეს, დან—ის აღმოსავლეთით მათ შესძლეს მცირე ტერიტორიის ნაწილის დაბრუნება. საერთოთ ეს იერიშები მოვიგერიეთ.

**გერმანია და რუსეთი.**

**ბერლინი.** 6 ნოემბერი. რუსეთის საკონსულოში ინტრიგების აღმოჩენის გამო აღნიშნული საელჩო საგანგებო მატარებლით დღეს რუსეთისკენ გაემგზავრა. ტელეგრაფის მავთულები საელჩოსი გადაჭრილია და საელჩოს შენობას, როგორც წინეთ, ისე ახლაც ისპანიის წარმომადგენელი განაგებს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

5 ნოემბერი. კონსტიტუციონურ ფორმების ცხოვრებაში გატარების შესახებ იმპერატორმა ვილჰელმმა შემდეგი მანიფესტი გაგზავნა კანცლერის სახელზე „თქვენო ბრწყინვალებავ, გიბრუნებთ დაუყონებლივ გამოსაქვეყნებლად იმ კანონ პროექტს, რომელიც ხელის მოსაწერათ წარმომადგინეთ და რომელიც შეეხება საიმპერიო კონსტიტუციის და 1878 წლის 17 მარტის კანცლერის გამოცვლის შესახებ. კანონის რეფორმას გერმანიის ხალხის ისტორიისთვის ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმის გამო, მე მსურს გამოვსთქვა ის გრძნობები, რომელნიც ჩემ მოქმედებას უძღვის წინ. მთავრობის მიერ მთელი რიგი აქტების გამოცემის შემდეგ, ახალ წესწყობილებას, რომელიც კანონის ძალას ღებულობს, იმპერატორის პრეროგატიული უფლებები ხალხის ხელში გადადის. ამით სრულდება ის პერიოდი, რომელსაც მომავალი თაობა პატივს სცემს. მიუხედავათ ტრადიციულ მმართველობის და უფლება მოსილების მოსურნე ძალთა შორის დაბადებულ ყველა გაუგებრობისა, ამ პერიოდმა ხალხს შეუნარჩუნა ის მძლავრი განვითარება, რომელიც ცხადი გახდა ამ ომის დროს. 4 წლის საშინელ ომის განმავლობაში ძველი ფორმები ირღვეოდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ნანგრევებათ ქცეულიყო, არამედ იმისთვის, რომ ადგილი დაეთმო ცხოვრების ახალი ფორმებისათვის. ამ ხნის განმავლობაში გამოჩენილ გმირობის შემდეგ გერმანიის ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მას არ წაართვან არც ერთი უფლება, რომელიც უზრუნველჰყოფს მის თავისუფლებას და განვითარებას მომავალში. ფედერალურ მთავრობების ის კანონები, რომელშიც ეხლა რეიხსტაგმა მიიღო და გააფართოვა, სწორეთ ამ რწმენამ წარმოშვა. სახალხო წარმომადგენლობის და უფლების პატივსაცემ ფედერ. მთავრობების რეზოლიუციებს ხელს ვაწერ სრულის გადაწყვეტილებით, რამდენადაც ეს ჩემზეა დამოკიდებული, საფუძვლად დარწმუნებული, რომ ამით გერმანიის ხალხის ბედნიერებას სამსახურს ვუწევ. საიმპერიო მთავრობა ხალხს უნდა ემსახურებოდეს და დე, ახალმა წესწყობილებამ გაანთავისუფლოს ყველა ის სასარგებლო ძალები, რომელშიაც ჩვენ ხალხს სჭირდება [illegible] გაჭირვებასთან საბრძოლველათ და მტკიცე [illegible] აწმყოდან ბრწყინვალე მომავლისკენ. ბერლინი 28 ოქტ.

ლიონის რადიო სადგურმა გამოაქვეყნა გერმანიის მე-3 არმიისადმი გაცემულ ბრძანების ტექსტები, რომელშიაც გვეღებათ დაპყრობილ ადგილებში საყდრები გაეჩხრიკათ იარაღის აღმოსაჩენათ; გაეჩხრიკათ აგრეთვე წმინდა ადგილები და საგნები. ამ ბრძანების გასაგებათ, რომელიც მორწმუნე პირთა რელიგიურ გრძნობას შეურაცხჰყოფს, საჭიროა აღინიშნოს, რომ გერმანელები ძალიან პატივს სცემდნენ ეკლესიებს, ამით ისარგებლეს ფრანგებმა და იქ ჰმალავდნენ იარაღს, ამუნიციას და სხვა აკრძალულ საგნებს. გერმანელთა საარმიო სარდლობის ეს ბრძანება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, უკმაყოფილება, რომელსაც ამ რადიო-დეპეშით გერმანელებს უგზავნიან, იმავე საფუძვლით თვით ფრანგებსვე უნდა გამოუცხადონ.

პოლონეთის ტერიტორიალურ საკითხის შესახებ გაზეთი „კურიერ ვარშავსკი" სწერს: „დასავლეთის საზღვარი პოლონეთისა ხალხის სურვილის თანახმად უნდა დამყარდეს. იქ ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ იმას, რაიც უძველეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, აღმოსავლეთით კი ჩვენ გვსურს პოლონელთა ყველა მიწების შემოერთება და ეს კი მიდის დნეპრამდე. ჩვენ გვსურს მტკიცე ზღუდეები სახელმწიფოსათვის, რომელიც ჩვენი სანაოსნო მდინარეთა აუზებით უნდა განისაზღვრებოდეს, დაეთანხმება ამ ჩვენს სურვილს ინგლისი თუ არა".

„ტაიმსში" მოთავსებულ ლორდ ნორტკლიფის წერილის გამო „ბერლინერ ტაგ." სწერს: „ვილსონის სამშვიდობო ნოტა, რომლის საფუძველზედაც გერმანიის მთავრობას სურს საზავო მოლაპარაკების წარმოება, ერთ მთლიან პირობას წარმოადგენს. ჩვენის აზრით აღნიშნული პუნქტებიდან არც რისიმე გამოკლება, არც მომატება არ შეიძლება თუ კი ის დაარღვევს მის მთლიანობას. ნორტკლიფის სტატია კი ამახინჯებს ვილსონის პროგრამას, ვინაიდან ხმას არ იღებს, არც არბიტრაჟზე და მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს ეროვნებათა ლიგის საკითხს, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი კაცობრიობის თვალი და გულისყური. ამავე წერილში ავტორი გვერდს უხვევს ვილსონის მიერ ნათლათ და გარკვეულად დასმულ საკითხს ზღვათა თავისუფლების და აგრეთვე ეკონომიური ომის შეუძლებლობის შესახებ. სწორეთ ეს ორი მუხლია გერმანიისათვის ძვირფასი და ამას მახედვით მიიღო მთავრობამ უცვლელათ და სრულად ვილსონის წინადადება. ეხება რა ელზას-ლორინის საკითხს, „ბერ. ტაგ." სწერს: „გერმანიის მთავრობამ უკვე გამოსთქვა სურვილი გაასწოროს 1871 წლის შეცდომა ვილსონის წინადადების მე-8 მუხლის თანახმად. ნორტკლიფის სიტყვით „ელზას-ლორენი იმ დროს სურვილის წინააღმდეგ იყო მოწყვეტილი საფრანგეთიდან". ცხადია, მაშასადამე ხალხის სურვილის თანახმად, უნდა გადაწყდეს დღეს აღნიშნული საკითხი და ამას შესძლებს კონფერენცია. ყოველ შემთხვევაში ვილსონის მიერ 1918 წლის 4 ივნისს ვაშინგტონის საფლავზე წარმოთქმული სიტყვის მეორე პუნქტში, რომელსაც თავის სამშვიდობო ნაბიჯები ემყარება გერმანიის მთავრობა, ნათქვამია: „ტერიტორიალურის, სუვერენობის, ეკონომიისა და პოლიტიკის საკითხები თვით ხალხის მიერ უნდა იქმნას გადაჭრილი" ამით ვილსონი ნათლად აღასტურებს პლებისციტის საჭიროებას, ე. ი. იმ სახით საკითხის გადაჭრას, როგორც ეს აღიარებულ იქნა ბერლინში 2 ნოემბერს ელზას-ლოტარინგელებ. შეოხებით. ლორდ ნორტკლიფის წინადადება, რომ გერმანულ-პოლონურ შერეულმა კომისიებმა დააწესონ პოლონეთს სამეფოს საზღვრები, „ბერლინერ ტაგებლატი"-ს საყურადღებოთ მიაჩნია იმ მოსაზრებით, რომ ნორტკლიფი ისე, როგორც ვილსონი, ფიქრობს, რომ ამ აზრის განხორციელებით დაცული იქნება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი** 6 ნოემბ. ბეჭდვითი ბიუროს ც. ა. კ. ბიულეტენი. 6 ნოემბერს რუსეთის დეპუტატთა საბჭოების მე 6 ყრილობა სვერდლოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა. პრეზიდიუმში აირჩიეს სვერდლოვი, ზინოვიევი, კამენევი, სტეკლოვი, ავანესოვი, ხერგეევი. საპატიო თავმჯდომარეებათ: ლენინი, ლიბკნეხტი და ფრიდრიხ ადლერი. დღის წესრიგი: რევოლიუციის წლის თავი, საერთაშორისო მდგომარეობა, სამხედრო მდგომარეობა, საბჭოთა მთავრობის ზრდა, ცენტრში და პროვინციაში, კომიტეტები. ილაპარაკეს: მისალმებით ლენინმა, დანიის და შვეციის წარმომადგენლებმა, კამენევმა და სვერდლოვ[illegible]

მა დაწვრილებით შემდეგ. სხდომა. ოთხ საათზე და 45 წუთზე დასრულდა. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: სრულიათ რუსეთის მუშათა, გლეხთა, ყაზახთა, წითელ არმიელთა დეპუტატების საგანგებო მე-6 ყრილობა თავის თავს მოვალეთ რაცხს მთელი ქვეყნის წინაშე განუცხადოს რუსეთის წინაალმდეგ მებრძოლ ჩრდ. ამერიკის შეერთებ. შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ისპანიის მართველთ, რომ სისხლის შეწყვეტის მიზნით ყრილობა წინადადებას აძლევს დაიწყონ ზავის შესაკრავათ მოლაპარაკება. თავმჯდომარე სვერდლოვი, მდივანი ავანესოვი.

# ომი და ზავი

(საქ. დეპ. სააგ.)

**ბერლინი** 6 ნოემბერი. ოფიციალურ უწყებათა ცნობით 6 ნოემბერს ბერლინიდან დასავლეთის ფრონტზე გაემგზავრა დელეგაცია დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ და სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად.

**ბერლინი**. 6 ნოემბერი. დღეს რადიოტელეგრაფით მიღებულ იქნა ვილსონის პასუხი გერმანიის უკანასკნელ ნოტაზე.

# ახალი ამბები

**იარაღის აყრა.** მილიციისა და ჯარისკაცთა პატრულები ქუჩებში უკვე ახდენენ ჩხრეკას და იარაღს ჰყრიან მცხოვრებთ.

**ყაჩაღების შეპყრობა.** თფ. გუბერნიის კომისარმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თიანეთის მაზრაში, პანკისის ხეობაში, მილიციას შეტაკება მოსვლია შეიარაღებულ ყაჩაღ-ქისტებთან. მილიციას 13 მოპარული ცხენი წაურთმევია და პატრონებისთვის ჩაუბარებია.

◆ **დატუსაღება.** მილიციამ დაატუსაღა ქურდები, რომელთაც გასტეხეს „ლოტის" საკანდიტრო, სასახლის ქუჩაზე.

◆ **სომხეთის წარმომადგენელი ჯამალიანი** შეეკითხა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს: შეეხება თუ არა იარაღის აყრა თფილისში დროებით ჩამოსულ სომხის ოფიცრებს.

◆ **შუამდგომლობა.** კავკ. მუზეუმის დირექტორმა ნ. ყიფიანმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მუზეუმში დაცული იარაღი თანახმად ახალ ბრძანებისა არ იქმნეს ჩაბარებული, ვინაიდან იარაღი საჭიროა მუზეუმის მოსამსახურეთათვის სამეცნიერო მოგზაურობის დროსა.

◆ **დახმარება.** ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შუამდგომ. ობა დაჭრილ გვარდიელთა დასახმარებლად 7,100 მ. გადადების შესახებ.

◆ **ტყიბულის მუშები.** გზათა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს გადაიდოს 500,000 მ. ტყიბულის მუშების საქმეთა დასაბოლოვებლად.

◆ **კოლექტიური პირადი ბარათები** მიეცემა მხოლოდ რაიონულ ან სახლის კომიტეტებს, რომლებიც არ შესულან სარაიონო კომიტეტებში. მთელ სარაიონო კომიტეტის სახელზე მიცემული იქნება ერთი ბარათი. კერძოთ არავის ასეთი ბარათი არ მიეცემა. კოლექტიური პირადი ბარათებით შეიძლება, როგორც პურის, ისე სხვა სურსათის მიღება სასურსათო განყოფილებიდან, რაიც კომიტეტებს დაურიგდებათ მცხოვრებთა შორის გასანაწილებლათ. ბარათი ღირს მთელი კომიტეტისთვის 10 მანეთი.

◆ **საქართველოს რკინის გზათა გენერალ-გუბერნატორის** კანცელარია მოთავსებულია სახაზინო გზათა სამმართველოს შენობაში. მუშაობა კანცელარიაში სწარმოებს დილის 10 ს. 4 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა. თხოვნები მიიღება ყოველდღე 12—1 ს. ხსენებული გენერალ გუბერნატორის განკარგულებაში არ შედის საქართველოს რკინის გზის სამხრეთი შტო სად. ნავთლუღიდან დაწყებული.

◆ **ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობა** აწყობს ანკეტას სპეციალისტთა შორის. საანკეტო ფურცელი შეიცავს 14 მთავარ მუხლს. ხსენებულმა ამხანაგობამ მიიღო წინადადება ქარალეთ-თორტიზის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებიდან გორის ახლო პიდრო ელექტრონულ სადგურის გამართვის შესახებ. ამხანაგობამ თანხმობა განუცხადა.

◆ **ქალაქთა კავშირი.** „კავკასიის ქალაქის" სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნენ: სმირნოვი, რობაქიძე და კრიტნოვა. ჟურნალის ქართული განყოფილების გამგეთ მიწვეულ იქნა ხაშურის ქალაქის თავი დ. სულიაშვილი.

◆ **დახმარება ერობას.** შინაგან საქმეთა მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა საერობო დაწესებულებებს მიეცეთ მილიონი მანეთი დახმარების სახით.

◆ **სასანიტარო დახმარება.** შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს გადაიდოს 200,000 მცხოვრებთათვის სასანიტარო და საწამლო დახმარების აღმოსაჩენად.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ორი დღეა გორში გაზეთი აღარ იგზავნება, რადგანაც აგენტმა ვალი 2500 მან. არ გადაიხადა (?) ხიდის გაფუჭების გამო გაზეთები დაგვიანებით მიდის პროვინციაში. შემთხვევა იყო გზიდან უკან დააბრუნეს. ამიტომ ვთხოვთ ვისაც ეს შეეხება, გაზეთები ჟსათუოდ გადატვირთონ ხიდთან შემდეგ მატარებელზე.

◆ **ლექტორთა კრება.** დღეს, 8 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის ყველა ქართულ განყოფილების ლექტორთა კრება არის დანიშნული საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტში (მიხეილის ქ. № 91). სახ. უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ ლექტორებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

◆ **მოვაგონებთ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებს**, რომ 8 ნოემბერს შესდგება არჩევნები ტრამვაის საავათმყოფო კასის რწმუნებულებისა (ასარჩევია 40 რწმუნებული) ამიტომ სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში. ჩვენი ნომერი იქნება № 1. იმედია ამხანაგები მოიხდიან მოვალეობას.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, 8 ნოემბერს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე". ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

# სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

**პარლამენტის ს. დ. ფრაქციაში**

პარლამენტის ს. დ. ფრაქციის საგანგებო სხდომაზე ამ თვის 6 გაირჩა საკითხი სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა. ფრაქციამ ერთსულოვნათ აღნიშნა, რომ დაშნაკელები ჩვენშიაც პირწმინდათ იმეორებენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ისინი ოსმალეთში აწარმოებდნენ და ხელოვნურათ ქმნიან კაცთმოძულეობის ატმოსფერას. საილუსტრაციოთ მოყვანილი იყო ადგილები დაშნაკელების გაზეთებიდან—„ორიზონ"-„აშხატავორიდან". ამ გაზეთებში დიდი ასოებით იწერება ასეთი მიმართვა: „შეაჩერეთ ლტოლვილების ხოცვა-ჟლეტა", „საქართველო მეორე მესოპოტამიათ გადაიქცა", „ენვერ გიორგაძე და ხალილ-რამიშვილი ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევენ" და სხვა.

ფრაქციამ გადასწყვიტა მოესმინა ამ საქმის შესახებ მთავრობის მოხსენება. სხდომაზე გამოცხადდენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე.

მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: მთავრობის თავმჯდომარესთან მისულა სომხების დელეგაცია ქალაქის ხმოსნის ბ. იაგჯიანის მეთაურობით და სწორეთ ის ბრალდებები დაუსახელებია, რაც „აშხატავორ" - „ორიზონშია" მოყვანილი.

მთავრობის თავმჯდომარეს განცხადება გამოუთქვამს იმის გამო, რომ ასეთი ჭორების განმეორების ნებას აძლევს თავის თავს ბ. იაგჯიანი, რომელმაც, როგორც ხმოსანმა, კარგათ უნდა იცოდეს საქმის ვითარება.

გამოირკვა, რომ ჩვენი მთავრობა დიდი ხანია აწარმოებს სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას, რომ სომხეთმა მიიღოს თავისი ქვეშევრდომი ლტოლვილი სომხები, მაგრამ სომხეთის მთავრობა უარზე სდგას.

ცხადია, თუ რა განზრახვა ასულდგმულებს სომეხ ხალხის ხელმძღვანელ პარტიას—დაშნაკელებს: მათ სურთ საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლონ მოსული სომხები, რომ ამ გზით გამოიწვიონ შუღლი და მტრობა ქართველ ხალხსა და სომხებს შორის და თავისი ნაციონალისტური მისწრაფებანი ასაზრდოვონ. გარდა ამისა სომხეთიდან მოსულმან მცხოვრებთა მთელი სოფლები აყრილან გაქცევის შიშით და ახალქალაქის რაიონში გადასახლებულან. ეს ადგილები დღეს ცარიელია და სომხეთის მთავრობას შეეძლო იქაც დაესახლებია ლტოლვილი სომხები, მაგრამ ის ამაზე არ თანხმდება, ხოლო ბ-ნი ჯამალიანი რაღაც ორპირულ პოლიტიკას აწარმოებს, დაშნაკელების გაზეთები კი სომხეთის მთავრობის შეუწყნარებელ პოლიტიკას სომეხ ლტოლვილებისადმი საქართველოს მთავრობას და ხალხს ახვევენ თავზე.

კამათის დროს, რომელშიაც ფრაქციის წევრებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს, ორატორების ცნობებიდან გამოირკვა, რომ ქსნის ხეობის აჯანყებაშიაც დაშნაკელებს უნდა ედოთ ბრალი. აღინიშნა აგრეთვე ისიც, რომ სომეხ ლტოლვილებში და აგრეთვე სომეხ მცხოვრებლებში გორისა და სხვა მაზრებში დაშნაკელების აგიტატორები დიდ აგიტაციას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ერთმა ამხანაგმა, რომელიც ამ დღეებში როსტოვიდან დაბრუნდა, აღნიშნა თუ რა საშინელ ჭორებს ავრცელებენ დაშნაკელები რუს მცხოვრებთა შორის საქართველოს შესახებ.

ფრაქციის სხდომაზე გამოითქვა სურვილი მიექცეს ყურადღება დაშნაკელებისა და სხვების ალვირ წახსნილ დემაგოგიას და აგიტაციას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და აილაგმონ ის პირები, რომელნიც იარაღსაც კი მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ. სომეხ ამხანაგებს მიანდვეს აუხსნან ხალხს საქმის ნამდვილი ვითარება და გაუთვალისწინონ შედეგი იმ პროვოკაციულ მოქმედებისა, რომელსაც დაშნაკელები ეწევიან.

**გორის მაზრის მცხოვრებლებისადმი.**

გორის მაზრის ს. დ. ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: ამხანაგებო და მოქალაქენო! ამას წინად საქართველოს საზღვრები თფილისის გუბერნიაში გადმოლახა სომხის ჯარის ერთმა ნაწილმა და დაიკავა ჩვენი ტერიტორია. ასეთი ნაბიჯი სომხის მთავრობის, რომელშიაც გაბატონებულია ნაციონალისტური პარტია „დაშნაკცუტუნი", მთელი დემოკრატიის მიერ მიჩნეული იყო პროვოკაციულ გამოსვლად. მიუხედავად ამისა საქართ. დემოკრატიული მთავრობის ცდით, რომელსაც გამოეხმაურა სომხის დემოკრატია ჩვენი სომეხ ამხანაგების—სოციალ დემოკრატების—სახით, საზღვრების შესახებ უთანხმოება გადაჭრილი იქნება არა იარაღით, შეტაკებით და სისხლის ღვრით ორ მოძმე ერთა შორის, არამედ—მოლაპარაკებით და შეთანხმებით, ამნაირად შოვინისტ დაშნაკცაკანების გამოსვლა, რომელთაც უნდოდათ ცეცხლი აენთოთ სომეხ და ქართველ ხალხთა შორის, საშარცხვინოთ გათავდა; და თქვენ იცით უკვე, რომ სადავო საკითხი საზღვრების შესახებ თანახმად ჩვენი მთავრობის გადაჭრილი მოთხოვნისა გარკვეული იქნება მშვიდობიანი გზით.

მაგრამ სომეხ და ქართველ შოვინისტებმა ხელზე დაიხვიეს მომხდარი და მშვიდობიანად მოგვარებული უთანხმოება და ხელოვნურად აღვივებენ მას. ზოგიერთმა შეუგნებელმა და ბნელმა ძალებმა გაილაშქრეს მთელი სომხის ხალხის წინააღმდეგ და დაშნაკცაკანების პროვოკაცია სურთ მთელ ერს მოახვიონ თავზე. ამხანაგებო! ჩვენ ვიცნობთ „დაშნაკელებს", ვიცით მათი პოლიტიკა, რომელმაც სომხის ერის დაღუპვის კარამდის მიიყვანა. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ სომხის დემოკრატია, იქაური ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით გამოფხიზლების გზას ადგია და „დაშნაკციტიუნის" პარტიის დამღუპველ პოლიტიკას ებრძვის.

ქართველ და სომეხ მშრომელ ხალხის ინტერესები მოითხოვენ შევებრძოლოთ ყველას—სომეხი იქნება ის თუ ქართველი—ვინც ცდილობს შუღლი და მტრობა დამთესოს ორ მოძმე ერთა შორის.

ამიტომ გორის მაზრის ცენტრალური კომიტეტი სოც. დემ. მუშათა პარტიისა მოუწოდებს ყველას ფხიზლად იყვნენ და „დაშნაკელების" პროვოკაციულ გამოსვლა-აგიტაციას — ჩვენი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ—შეგნებულად შეხვდენ, რომ ამ შოვინისტურ პარტიის ნაბიჯები მთელ სომხის ხალხს არ მოეხვიოს თავზე ნუ მისცემთ საშუალებას ბნელ ძალებს ისარგებლონ ამ გარემოებით და განურჩევლად—ყველა სომხების წინააღმდეგ თავიანთი ბნელი მუშაობა აწარმოვონ!

ამხანაგებო და მოქალაქენო! მეტი სიფხიზლე, მეტი შეგნება! არ წამოეგოთ პროვოკატორების მიერ გადმოსროლილ ანკესზე, რომელ მხრიდანაც არ უნდა დარჩეს ის!

გორის მაზრის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

# მუშათა დეპუტატების საბჭოში

(დასასრული)

**ირ. წერეთელი.** მოწინააღმდეგენი პრინციპიალურად დაეთანხმენ მოხსენებაში გატარებულ დებულებებს, მოიწონეს საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური გზა წარსულში და ამტკიცებდენ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა შორის თანხმობა სოლიდარობა ჩამოვარდება მხოლოდ მაშინ, თუ გამონახულ იქნება მათთვის საერთო ორიენტაციათ. ასეთი ორიენტაცია არის ორიენტაცია რუსეთის—ამბობდენ ოპონენტები. ამ შეხედულებას ისინი ერთი ხანია, რაც პრესაშიც ატარებენ და ამიტომ უნდა გავარჩიოთ სწორია თუ არა ეს გზა. ამის გამოსარკვევად კი საჭიროა დავუბრუნდეთ წარსულს და განვიხილოთ, თუ როგორი იქნებოდა შედეგი იმ გამოსავალი გზისა, რომელსაც მოწინააღმდეგენი ასეთივე დაჟინებით გვირჩევდენ.

თარხანოვი აღნიშნავს, რომ გერმანიის მოსვლა სასარგებლო იყო. გერმანიის მიერ სარგებლობის მოტანის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს, მხოლოდ აღნიშნა, რომ გერმანია საქართველოში თვითონ მოვიდოდა და შედეგებიც ისეთივე იქნებოდა, როგორიც არის ახლა. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ჩვენს მეზობელ ბაქოში ასეთი ცდა გააკეთეს, გერმანია თავისით მივიდა იქ, მაგრამ არის ერთი განსხვავება მათი ბაქოში და საქართველოში მოსვლაში. ბაქოში გერმანია მივიდა საშინელი დანგრევის შემდეგ, რომელიც მოახდინეს ოსმალთა ბანდებმა. საქართველოში კი გერმანია შემოვიდა სწორედ ამ დანგრევის და განადგურების საწინააღმდეგოდ. და რომ ჩვენს დემოკრატიას გულზე ხელები დაეკრიბა და გერმანია აქ თავის დროზე არ შემოსულიყო, მაშინ არც ჩვენ და არც თარხანოვი ახლა აქ საბჭოში არ ვიქნებოდით. იქ, ბაქოში, მიიღეს ორიენტაცია რუსეთის, მაგრამ ამ ორიენტაციამ, როგორც რუსეთს, ისე ბაქოს, მისცა მხოლოდ ერთი შედეგი: გერმანია ბაქოში შევიდა ოსმალების შემდეგ. ეს ფაქტი მჭერმეტყველურად ლაპარაკობს იმაზე, თუ რას ნიშნავს დღეს რუსეთის ორიენტაცია, იმ რუსეთის, რომელსაც ანარქია და კონტრ რევოლუცია ანაწილებს, გლეჯს და სულს უხუთავს. ჩვენ არავინ არ დაგვწამებს იმას, რომ ვითომ ჩვენი იდეური თანაგრძნობა არ იყოს ნამდვილ რუსეთის დემოკრატიის კენ. ეს იდეური კავშირი განმტკიცებულია დიდი ხნის ერთად ბრძოლით საერთო იდეალისათვის, მაგრამ დღეს რუსეთის ორიენტაცია ასეთ კავშირს კი არ ნიშნავს, არამედ ჩვენი გახდომას რუსეთის ნაწილად, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი ჩვენს წინ არის ტარმომადგარი ბოლშევიზმის, ხოლო დასავლეთი ნაწილი—საშინელი კონტრ რევოლუციის სახით. ჩვენ, რომელსაც ირგვლივ მტრები გვახვევია, გვეუბნებიან დაუჭიროთ მხარი დემოკრატიულ რუსეთს და თავი გაანებეთ ყოველგვარ თვით დაცვასო. მაგრამ შეიძლება თუ არა დემოკრატიამ ამ კუთხეში შეინარჩუნოს თავისი არსებობა რუსეთთან შეერთებით?

შეუძლია თუ არა დემოკრატიულ რუსეთს საქართველო დაიცვას ბოლშევიკების და კონტრ რევოლუციონერების შემოსევისაგან? როდესაც ის თვითონ სისხლიდან იცლება, და სჭირია სხვისი დახმარება, შეუძლია თუ არა დამცველად მოგვევლინოს ჩვენ? ჩვენ რომ ჩვენი თავი გამოგვეცხადებია რუსეთის ნაწილად, ჩვენს მხარეს ოკუპაციას უზამდნენ ოსმალები, ბოლშევიკები ან კონტრ-რევოლუციონერები. ასეთი შედეგი კი, რასაკვირველია, არაფერს არ შეჰმატებდა დემოკრატიულ რუსეთს და საქართველოს დემოკრატიას კი სამუდამოდ გაანადგურებდა. ასეთ ნაბიჯს ჩვენ ვერ გადავსდგამთ. ამ საკითხმა ჩვენ დაგვაშორა ერთმანეთს ექვსი თვის წინეთ და ეხლაც გვაშორებს.

შესაძლებელია გამართლდეს აქ გამოთქმული იმედები და საერთაშორისო განწყობილებამ შექმნას ხალხთა ლიგა, მაგრამ იმპერიალიზმისათვის ზხამი ჯერ კიდევ არავის ამოუცლია და ამიტომ საქართველოს რესპუბლიკამ, რომელსაც ყოველ მხრით ემუქრებიან, უნდა მონახოს ისეთი დამხმარე ძალები, რომელნიც შეურიგდებიან დემოკრატიის არსებობას და თავის კუთხეს დაღუპვის გზაზე არ დააყენებს. მხოლოდ ამ პოლიტიკის ნიადაგზე შეიძლება განმტკიცება ამიერ-კავკასიის ხალხთა სოლიდარობისა, ჩვენც მივისწრაფვით ამ სოლიდარობისაკენ, მაგრამ მას ვერ ვიყიდით რომელიმე ერის მოსპობით. საქართველოს მთავრობა ცდილობს ამიერ კავკასიის ერთა გაერთიანებას და ამ მიზნით უკვე გადადგმულია ნაბიჯები, მაგრამ თქვენ იცით, თუ რა კომპანიას აწარმოებენ ამის წინააღმდეგ ამავე დროს კი ჩვენ მოგვიწოდებენ დიკრეტით მივიღოთ ფედერაცია. ეს შეუძლებელია. ფედერაცია დეკრეტის საშუალებით კი არ უნდა მივიღოთ, არამედ თვით ხალხთა სოლიდარობამ უნდა გამოიწვიოს ის. სანამ არ მოსპობილა ნაციონალური შუღლი, ურთიერთ შორის გაუგებრობა, მანამ ყოვლად შეუძლებელია ამ გზას დავადგეთ.

ახლა მე მსურს რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა ჩვენი მოწინააღმდეგეთა შესახებ. ამ კრებას რომ დასწრებოდა გარეშე ვინმე, და მას მოესმინა ოპოზიციის ლოიალური კრიტიკა, რომელსაც ეჭვი არ შეუტანია ჩვენი დემოკრატიის მიზნების და მისწრაფებების სისპეტაკეში, რომელიც მიუთითებდა წარსულში ზოგიერთ შეცდომებზე და მასთან ერთად ხაზს უსვამდა ჩვენი დემოკრატიის ღვაწლს, მოქმედებას რევოლუციით. მონაპოვართა შესანარჩუნებლათ, მას, გარეშე მაყურებელს გაუკვირდებოდა ის გარემოება, რომ აქ ოპოზიციის ორატორებს სხვადასხვა წამოძახილით ლაპარაკში ხელს უშლიდა კრების უმრავლესობა. მეც გამიკვირდებოდა საზოგადოების მოუთმენლობა, რომ არ ვიცოდე, თუ რის გამოძახილია ის. საქმე იმაშია, რომ ამ კრებაზე, რომელიც უდავო წარმომადგენელია ნამდვილი დემოკრატიის, ოპოზიცია ყოველთვის ლოიალურათ გამოდის, მაგრამ ამ კრების გარეთ, პრესაში, ეს ოპოზიცია, როგორც საქართველოში ისე რუსეთში სულ სხვა იარაღით და საშუალებით გვებრძვის ჩვენ. იქ ის არ ლაპარაკობს ჩვენი დემოკრატიის მთავარ ღვაწლზე, მის მისწრაფებათა სიწმინდეზე, იქ ჩვენი დემოკრატია მათ გამოყავთ, როგორც გერმანიის იმპერიალიზმის მხლებლებათ. ჩვენი მთავრობის სახელის გასატეხათ სარგებლობენ არა მარტო შეცდომით, არამედ—მოჭორილი ხმებითაც, იქ ყოველ დღე იმეორებენ იმ ბრალდებას, თითქოს ჩვენი მთავრობა სდევნიდეს რუს აფიცრობას, საერთოთ ყველაფერს რუსულს, იქ სწერენ იმაზედაც, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიამ მთელი თავისი არსებობა ააშენა სხვების უბედურებაზე. ამას აქ მუშათა საბჭოს კრებაზე ოპოზიცია არ იმეორებს. აქ არ ცდილობენ ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრება ააშენონ რომელიმე მინისტრის ძალა-უნებურათ წამოსცდარ სიტყვებზე, და ის დამოკიდებულება და განწყობილება, რომელსაც თქვენ ხვდებით ბ. ძ(?)ირებო, აქ, ეს არის პასუხი იმ პოლიტიკაზე, რომელსაც თქვენ ამ კრების გარეთ აწარმოებთ. თუ თქვენ გინდათ მოსპოთ ასეთი დამოკიდებულება, მაშინ ყურადღება მიაქციეთ თქვენს პრესას და იმ კომპანიას, რომელსაც თქვენ ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებთ გაზეთებში. შემდეგ ორატორი ეხება ნაციონალისტურ ტონს და ამბობს, რომ ქართველი დემოკრატია მუდამ წინააღმდეგი იყო ამ ტონის, მაგრამ ის უცოდველი არ არის და ის ნაციონალური შუღლი და მტრობა, რომელსაც მის წინააღმდეგ აწარმოებენ, მასშიაც დაჰბადებენ აღშფოთებას და თუ ასეთივე შუღლს არა, ერთნაირ განწყობილებას მაინც ნაციონალისტებზე. მოდით და ერთად ვებრძოლოთ ამ ბოროტებას. თუ კი ჩვენი საერთო ხაზის და პოლიტიკის წინააღმდეგ არაფერი არა გაქვთ, მოდით და გავსწმინდოთ ატმოსფერა. ჩვენ აშკარად, დაუმალავათ დავიხატეთ ჩვენი პოლიტიკა და მისწრაფებები. თუ თქვენ ამის თანახმა ხართ, მოდით და ერთად ვიბრძოლოთ. მაგრამ თუ ჩვენ გვებრძვით, გვებრძოლეთ ისე ლოიალურათ, როგორც ამას ამ კრების წინაშე შვრებით. და თუ თქვენ მაინც განაგრძეთ დღევანდელი თქვენი პოლიტიკა, მაშინ შეიძლება დროებით გაიმარჯვოთ და ჩვენს წინააღმდეგ დარაზმოთ ნაციონალისტური ძალები, შეიძლება თქვენ დროებით ჩვენი მდგომარეობა გააუარესოთ და შეიძლება რუსეთის დემოკრატიასთან ჩვენი პრესტიჟი დასცეთ, მაგრამ იცოდეთ და დარწმუნებული იყავით, რომ ბოლოს და ბოლოს სიტყვები და ჭორები გაქრებიან და ფაქტები კი დარჩებიან. (ხანგრძლივი ტაში, მთელი დარბაზი ადგება და წერეთელს ოვაციას უმართავს). ა. ხ.

# სახალხო სახლის გარშემო

ქართულ სახალხო წარმოდ. მმართველი „წრის" გამგეობა მუყაითად შეუდგა სამზადის; განზრახულია როგორც რეპერტუარის განახლება, აგრეთვე ძალების გაძლიერება. მართლაც, იმ მცირე ძალებით ძნელია საქმის გაძღოლა და „წრეს" დიდ სამსახურს გაუწევდნენ ის ძველი სცენის მოყვარენი, რომელნიც სხვადასხვა მიზეზებისა გამო დაშორდნენ სახალხო სცენას,—მათი ვალია კვლავ შემოკრბენ „წრის" გარშემო და თავიანთი უანგარო მუშაობით ხელი შეუწყონ დემოკრატიულ თეატრის წინსვლა აღორძინებას მით უფრო, რომ თუ ადრე მასსა ეტანებოდა სახალხო წარმოდგენებს, დღეს მოთხოვნილებაც და გემოვნებაც გარკვეულია. ბ. შათირიშვილის წასვლით „წრის" გამგეობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში იყო რეჟისორის მხრივ, მაგრამ, საბედნიეროთ, მოიწვია რეჟისორად ბ. ბარველი და ალ. წუწუნავამაც აღუთქვა, რომ თვეში ერთ წარმოდგენას დასდგამს სისტემატიურად,—რაც მეტად სასიხარულოა. გამგეობა შეუდგა სარეპერტუარო კოლეგიის მოწვევას, რომლის შემადგენლობას უმთავრესად უნდა შეადგენდნენ ცნობილი ჩვენი მწერლები, ბელეტრისტები, პოეტები, დრამატურგები და მხატვარ მუსიკოსები; ვფიქრობთ, თუ უკანასკნელნი ყურადღებით მოეპყრობიან „წრის" განზრახვას, ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო წარმოდგენების ახალი ხანა შეიქმნება. გამგეობას განზრახული აქვს აუდიტორიას გააცნოს, როგორც ჩვენი მწერლობა, აგრეთვე თარგმანიც ისეთი მწერლებისა, რომელთაც მსოფლიო სახელი მოუხვეჭიათ. რასაკვირველია, უპირატესობა მიეცემა ისეთ ნაწარმოებს, რომელნიც ჭეშმარიტად გადმოგვცემენ ჩვენი ერის წარსულ განცდას და კულტურას.

მუშაობა ბევრი აქვს „წრეს" და საჭიროა ჩვენმა მოწინავე ინტელიგენტებმა და მუშებმა შესაფერისი დახმარება აღმოუჩინონ მას. ნ. ქ.

# ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 31 ოქტომბერს შესდგა მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. განხილულ იქმნა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტისაგან; 2) რეგლამენტის შემუშავება; 3) ქალთა ორგანიზაცია; 4) პარტიული მუშაობა; 5) ბიუროს ბინა; 6) კომისიის მოხსენება; 7) დამკრძალველ ოფიციალური ქაღალდების განხილვა.

თფილისის კომიტეტიდან მოსმენილ იქნა მოხსენება. რამოდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ კრება ამტკიცებს მოხსენებას. რეგლამენტის შესახებ კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ ის შემუშავებულ იქნას კრების მიერ. იქვე შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი რეგლამენტი: 1) მორიგი კრებები უნდა მოხდეს ხუთშაბათობით, საღამოს 6 საათზე, კრება უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 6 ნახევარ საათზე, თუ ამ დრომდე ქვორუმი არ შესდგა ამხანაგებს უფლება აქვთ დაიშალონ; 2) ქვორუმს შეადგენს მთელი რიცხვის ერთი მესამედი და ერთი წევრი, ე. ი. 7 წევრი; 3) ის წევრები, რომლებიც ორჯელ არ დაესწრებიან ზედიზედ კრებას, მესამეჯერ კრებას უფლება აქვს ისინი დაითხოვონ კოლექტივის წევრობიდან და მოიწვიოს მათი კანდიდატები, თუ ისინი არ წარმოადგენენ საპატიო მიზეზს [illegible] ... 3) აუცილებელი [illegible] გარეთ წასვლა, გ) [illegible] მიერ დაკისრებული მოვალეობა; 4) პრეზიდიუმს უფლება აქვს განიხილოს წვრიმალი კითხვები; 5) დანიშნულ დროზე თუ სრული ქვორუმი იქნება და იმავე დროს არ იქნებიან თავმჯდომარე ან თავმჯდომარის ამხანაგები, მაშინ კრება უფლებას აძლევს მდივანს გახსნას კრება და აირჩიონ დროებითი თავმჯდომარე; 6) კონსპირაციის შესახებ კრებამ შეიმუშავა შემდეგი მუხლები: ა) პრეზიდიუმს ევალება გამოაცხადოს კრება დახურულათ თუ საჭიროება ან კოლექტივის რომელიმე წევრი მოითხოვს მას, ბ) კოლექტივის წევრებს არ აქვთ უფლება გადასცენ ვინმეს არა ოფიციალური ცნობა კოლექტივის მუშაობის შესახებ და არც მსჯელობის დროს წარმოთქმული სიტყვები ვინმე პიროვნებისადმი მიერ მიმართული, გ) კოლექტივის წევრმა თუ დაარღვია ზემო ჩამოთვლილი დებულება, ის გადაეცემა პარტიულ სასამართლოს.

ქალთა ორგანიზაციის შესახებ კრება ავალებს პრეზიდიუმს, რომ მან მოსთხოვოს თფილისის კომიტეტს ამის შესახებ წერილობითი განმარტება, რომელიც ნათელ ყოფს ქალთა ორგანიზაციის და კოლექტივის შორის დამოკიდებულებას. პარტიულ მუშაობის შესახებ გამოთქმულ იქნა სხვადასხვა აზრი. დასასრულ კოლექტივი ირჩევს ხუთი წევრისაგან შემდგარ კომისიას (გრიგოლოვი, შანიძე, ტერელაძე, ნაკაიძე, ხარაშვილი), რომელსაც ევალება განიხილოს ჩვენი რაიონის დღევანდელი მდგომარეობა და იმის მიხედვით პარტიული მუშაობის გეგმა შეიმუშაოს.

კოლექტივი ბიუროს ბინის შესახებ ადგენს, ბიურო გადატანილ იქნას უკეთეს ბინაზე. ბინის შოვნა ევალება კოლექტივის ყველა წევრებს, რომლებიც ვალდებული არიან აცნობონ პრეზიდიუმს, აგრეთვე განსაკუთრებით ენდობა ორ წევრს ლ. პაპიშვილს და მ. ტერელაძეს.

გ. ნოზაძის დამკრძალველ კომისიის წევრი გაჩიტაშვილი მოხსენებას აკეთებს, მან აცნობა კრებას კომისიის მუშაობა და ხარჯები. კრება ამტკიცებს ხარჯებს.

ნა.

---

**ბახვი.** (გურია) 20 ოქტომბერს შესდგა ბახვის სოციალ დემოკრატიული რაიონული ახალი კოლექტივის კრება. დღის წესრიგში დასმული კითხვების გარჩევამდე კრებამ აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ს. ბოლქვაძე, ამხანაგათ მ. ბოლქვაძე, ხაზინადრათ კ. ჯინჭარაძე და მდივნათ ხ. ბორჩხაძე. თფილისში ყრილობაზე დასასწრებლათ კრებამ ერთხმად აირჩია ალექსანდრე ლომთათიძე, რისთვისაც უნდა გაეგზავნოს მანდატი. ბახვის ეკლესიის გაძარცვის შესახებ კოლექტივი საჭიროდ სცნობს იქნას განახლებული მუშაობა ქურდების აღმოსაჩენათ. თუ ამაზე ნებას დართავს ცენტრალური კომიტეტი. აფთიაქის მოწყობის საქმეს კოლექტივი ავალებს კომისარს დაუყონებლივ მოიწვიოს გამგეობის პრეზიდიუმი და სხვა არჩეული პირები აფთიაქის მოსაწყობათ, რის შემდეგ საქმის გარემოება უნდა აცნობოს კოლექტივს. კოლექტივის დადგენილებით გაგზავნილ იქნას რედაქციებში ცნობა, რომ აგენტათ ითვლება ბახვში ბახვის კოლექტივი და გაზეთები თუ სხვა საჭირო ცნობები გაეგზავნილ იქნას მის სახელზე. კოლექტივი სთხოვს ოზურგეთის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმს იშუამდგომლოს გურიის დამხმარე კომიტეტში, რომ მან აუცილებლათ დაუგზავნოს ყველა კოლექტივებს პირი მათი ნამუშავრისა და ინვარიშებისა (რევიზიის შემდეგ) ინვარიშების შესასწორებლად. უკანასკნელათ კოლექტივი საჭიროთ სცნობს, ის ფულები, რომელიც არის მოკრებილი სახალხო სახლის და სხვადასხვა ხიდების გასაკეთებლად, დროებით გამოეგრთვას პროცენტი და იმ ფულებით შეიძინოს მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საჭირო სასწავლო ნივთები, რადგანაც სახელმძღვანელოების უქონლობა (კუდ მდგომარეობაში აყენებს მოსწავლეებს. ლ. ჩ.

# მუშათა შორის

**ძ. გორი.** საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზის დელეგატთა ყრილობაზე დაადგინეს: გაუქმებიათ რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტები და მის ნაცვლათ დაარსებიათ პროფესიონალური კავშირი. კავშირიდან გამოჰყვეს სასურსათო განყოფილება, რომლის თავმჯდომარეთ არის თაბეგი. კავშირს და სასურსათო განყოფილებას ეგულებოდა: რაიონებში, სარაიონო პროფესიონალური სექციათა გამგეობების მოწყობა და სასურსათო საქმის მოწესრიგება, მაგრამ გადის სრული ერთი თვე და არც პროფესიონალური კავშირის მოწყობაზე ზრუნავს ვინმე და არც სასურსათო საქმის მოგვარებაზე. ამას წინათ პარტიულ კრებაზე გაგზავნილ კომისიის წევრს, რო-

მელიც თფილისში იყო გაგზავნილი ამ საქმეზე, შეპირდნენ ცენტრალურ კავშირის წევრები, რომ ხვალ ჩამოვალთო, მაგრამ მას შემდეგ ორი კვირაც კი გავიდა და არავის ვხედავთ. ვსთქვათ, რომ პროფესიონალური კავშირის სექციების და გამგეობის მოწყობა მაინცა და მაინც დიდ დაჩქარებას არ მოითხოვს, რადგანაც მის დაარსებამდე, გზის ფურონის განკარგულების თანახმად, აღმასრულებელი კომიტეტები განაგრძობენ მუშაობას, მაგრამ სასურსათო საქმე გორში თავიდანვე ვერ იყო რიგიან ნიადაგზე დაყენებული და ეხლა სულ მთლად გაივინა და გაჩერდა. ხშირად ერთ თვეზე მეტი არის, რაც გორის რაიონში არავითარი სურსათი არ მიუღია აქაურ მუშა მოსამსახურეებს, რის გამოც დიდ გაჭირვებას განიცდიან. აღსანიშნავი და საკვირველი არის ის გარემოება, რომ ამ მხრივ გორის რაიონი ყოველთვის გამონაკლისს შეადგენდა. აქ არასოდეს არ ღებულობდენ მოსამსახურეები სურსათს ისე, როგორც სხვა რაიონებში. მაგალითად, გორის რაიონს არ ეძლეოდა პური, როდესაც სხვა რაიონებში მოსამსახურეები რკინის გზის ფურნეებიდან ღებულობდენ გირვანქას 50 კ., მაშინ აქაური მოსამსახურეები იძულებული ხდებოდნენ კერძო ფურნეებიდან ეყიდათ პური, რომელშიაც იხდიდენ სამს ან ოთხ მანეთს გირვანქაში. ეს დღემდისაც ასე არის, მაგრამ როგორც ამაში, სხვებშიაც მუდმივ შეადგენდა გამონაკლისს. ასეთი გარემოება, რა თქმა უნდა, დიდ უკმაყოფილებას და უსიამოვნებას იწვევდა და იწვევს ამ რაიონის ყველა მოსამსახურეთა შორის, რის გამოც ბევრს ჭორებსა და ცრუ ხმებს ჰქონდა და აქვს ადგილი. გზის ცენტრალურმა სასურსათო ორგანომ უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებას და ყოველივე ზომები უნდა მიმართოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად, რომ შემდეგში ასეთ საჩივრებს და უსიამოვნებას ადგილი არ ექნეს. როგორც გავიგეთ, გორის რაიონი განზრახულია შეუერთონ ხაშურს და ის, როგორც სარაიონო სამმართველო, უნდა გამოაცხადონ გაუქმებულად. მაშასადამე აქ პროფესიონალური სარაიონო სამმართველო აღარ უნდა იქნეს; მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა იარონ ხაშურში, რაც ძლიერ უხერხული და საძნელოა.

აქაურ მუშებს და მოსამსახურეებს ადგილობრივმა პროფესიონალურმა გამგეობამ უნდა გაუწიოს კულტურული და იდეური ხელმძღვანელობა, რაც უფრო მოსახერხებელი და შესაძლო იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი გამგეობა გორში გვეყოლება. რაც შეეხება იმას, რომ აქ პროფესიონალური გამგეობის დაარსება ხარჯებს გამოიწვევს, სამაგიეროთ, უნდა ვიგულისხმოთ კულტურული ხელმძღვანელობით, საქმიანობით, იგი გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ამ რაიონის მოსამსახურეებს. სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ცენტრალური კავშირი, როგორც დაინტერესებული ორგანო, მუშა-მოსამსახურეების კულტურულ და გონებრივ განვითარებათ შეცვლის ამ გეგმას, რომელიც მას აქვს გორის რაიონის ხაშურზე შეერთების შესახებ და აქ დააარსებს პროფესიონალურ სექციას.

იანი.

## წ.-კითხვის საზოგადოება

კვირას, 10 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ეროვნულ საბჭოს ყოფილ ბინაზე (ფრეილინის ქუჩა № 11) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა საზოგადო კრება.

**განსახილველი საგნები:**

1) 1916—1917 წლების გამგეობის მოქმედების ანგარიში.

2) სარევიზო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ.

3) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ.

4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5) გამგეობის და სარევიზიო კომ. წევრთა არჩევნები.

6) სექციების წევრთა არჩევნები.

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე დასასწრები ბილეთები.

საზოგადოების რწმუნებულები არიან:

1) ახალციხის განყოფილ. 1) კანდელაკი ბენიამინი, მღვდ.

2) ბათუმის—1) მიქელაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 2) ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე, 3) აბაშიძე ანგელინა ნესტორის ძე, 4) გოგოლაძე კაპიტონ ალექსის ძე, 5) მგელაძე ალექსანდრე, 6) კალაძე გერასიმე დიონოსის ძე, 7) კიკავა ფილიპე ანდრიას ძე, 8) ჯაყელი ნიკოლოზ გახტანგის ძე, 9) გერასიმოვ სერგეი, 10) კობახიძე კონსტანტინე ივანეს ძე, მათ კანდიდატებათ ჭელიძე და რამიშვილი.

3) ბაქოს—1) ახობაძე ვლადიმერ, 2) ბაქრაძე ვლადიმერ, 3) დადიანი იოსებ იულონის ძე, 4) ქორქოლიანი ალექსანდრე მაქსიმეს ძე, 5) ქართველიძე პავლე.

4) განჯის—1) ხარაძე ლუკა, 2) ხვარიშვილი გიორგი დეკ.

5) გორის—1) შიუკაშვილი ნიკოლოზ, 2) მაჭავარიანი სიმონ.

6) გუმბრის—1) ციხისთავი არჩილ, 2) მამულაიშვილი ნესტორ, 3) ჩხეიძე ვალერიან, 4) მატბერაშვილი.

7) ლანჩხუთის—1) ჩხაიძე ეპიფანე, 2) ფხაკაძე ეკატერინა, 3) ფირცხალაიშვილი ნიკ.

8) სენაკის—1) ლორთქიფანიძე პ., 2) მაღნარაძე გ., 3) ხარბედია ბიკენტი, 4) თევზაია ნიკ.

9) სიღნაღის—1) ჯანდიერი ნიკოლოზ, 2) დაფქვიაშვილი გიორგი დ.

10) სოხუმის—1) ჯუღელი ვლადიმერ, 2) მახვილაძე ვლ., 3) თურქია ნინო, 4) გეგელაშვილი იაკიმე.

11) ტუაპსის—1) ლასაბერიძე იოსებ, 2) მოსეშვი ბიკტორ.

12) ხონის—1) მაჭარაძე ალექსანდრე.

13) ჭიათურის—1) ექიმი სიმონ დავითის ძე ჯაფარიძე, 2) ანთელავა გიორგი ანტონის ძე.

14) თფილისის—1) გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, 2) ნოე რამიშვილი, 3) ქ. გვარჯალაძე, 4) პარმენ კახიანი, 5) თევდორე კაკაბაძე, 6) გიორგი მაჭავარიანი, 7) მანდარია ტყავაშვილიძე, 8) გიორგი ცინცაძე, 9) ალ. ნაცვლიშვილი, 10) ნიკ. ელიავა, 11) კირილე ნინიძე, 12) ტერენტი წერეთელი, 13) რაფიელ ჩიხლაძე, 14) ნ. ცინცაძე, 15) თევდორაშვილი, 16) პორფირე წირქვაძე, 17) გ. ბახტაძე, 18) ფ. ლორია, 19) იოსებ გიორგობიანი, 20) გ. ნინუა, 21) შ. ელიავა, 22) ფსანაიშვილი, 23) ფილიპე მგელაძე, 24) პ. ქავთარაძე, 25) კალე ქავთარაძე, 26) ვარლამ მურჯიკნაძე, 27) შ. შარაშიძე, 28) გიორგი ლასხიშვილი, 29) გრიგოლ რცხილაძე, 30) ალ. მდივანი, 31) დ. უზნაძე, 32) ლევარსამ ბოცვაძე, 33) ნინო ნაკაშიძე, 34) ა. შანიძე, 35) აკ. პაპავა, 36) სეით იაშვილი, 37) ქრ. რაჭველიშვილი, 38) ტოროტაძე გ., 39) დ. გ. კარიჭაშვილი, 40) ივ. ვართაგავა, 41) ივ. ბელიაშვილი, 42) ი. ციციშვილი, 43) იულია იაშვილი, 44) დიმიტრი ლუმბაძე, 45) ი. ბერძენიშვილი, 46) გერასიმე იმნაიშვილი, 47) შიო დედაბრიშვილი, 48) ს. ზაქარიაშვილი, 49) გრიგოლ ნათაძე, 50) შ. ზანდუკელი.

**მათ კანდიდატებათ:**

1) თევდორაშვილი, 2) ეშ. ლომთათიძე, 3) პუმპურიძე, 4) ვარ. კანდელაკი, 5) ა. ბუკია, 6) ს. თავართქილაძე, 7) თალაკვაძე, 8) ირემაშვილი, 9) ნაკაიძე, 10) ხიზინაშვილი, 11) ლავრენტი სანაძე, 12) დ სულიაშვილი, 13) ვიქ. ქავთარაძე, 14) აკ. პაპავა, 15) მაქსიმე ბერძენიშვილი, 16) მიხ. საყვარელიძე, 17) ანნა ახუტაშვილი, 18) ზ. ყანჩელი, 19) ბეს. ქებაძიანი, 20) ალექსანდრე მიქაბერიძე, 21) მარ. გახვახიშვილი-წერეთლისა, 22) დავით პარკაძე, 23) ის. სტურუა, 24) დავით ყიფშიძე, 25) თამარა ჩიქოვანისა, 26) ნიკ. კეცხოველი, 27) ელ. პაგლიაშვილი, 28) დ. დ. კარიჭაშვილი, 29) ქ ნი ბაზუკაშვილი, 30) ნ. ჩიჯოვიძე, 31) ზ. ბაქრაძე.

## პროვინცია

**ქ. ლანჩხუთს** ჩრდილოეთის მხრით აკრავს ტყე სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ ამ ტყის დღევანდელ ვითარებას და მასთან დაკავშირებულ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებლების მდგომარეობას გავაცნობთ მკითხველ საზოგადოებას.

ჩემი წერილის უმთავრესი მიზანია მივიპყრო მიწათ-მოქმედების სამინისტროს ყურადღება, რადგანაც ტყე მის მფარველობის ქვეშ გადავიდა და ქ. ლანჩხუთის მცხოვრებლების ერთი საგრძნობი ნაწილი—გლეხობა, რამდენათაც ჩვენ ვიცით, მუშათა არტელის სახით დღეს თხოვნით არის მიმართული სამინისტროსადმი. საქმე შემდეგშია: ზემოთ დასახელებული ტყის ე. წ. „ლანჩხუთის დაჩას“ ერთი მესამედი სახელმწიფო კუთვნილებას შეადგენდა თებერვლის რევოლიუციამდე. ტყის ეს ნაწილი, თუმცა ერთ დროს ლანჩხუთის გლეხობის კუთვნილებას შეადგენდა, მაგრამ მათ ჩამოართვა ძველმა მთავრობამ, როგორც სახელმწიფო გლეხებს. მასთან ერთად ტყის ორი მესამედიც, რომელიც ეკუთვნოდა ადგილობრივ აზნაურებს ჩამორთმეულ იქნა იმავე მთავრობის მიერ, მაგრამ აზნაურებმა საჩივრის შემდეგ დაიბრუნეს ტყე დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის უკან და თავიანთი ნაწილი დიდმა უქონლობამ მიჰყიდა ნაჭრობით გლეხებს. დღეს კი ტყის წიმლებმა კომისიამ, თანახმად დეკრეტისა ჩამოართვა ტყე, როგორც აზნაურებს, აგრეთვე გლეხებსაც და შეაჩერა ტყის დამუშავება. რასაკვირველია, კომისიის მოქმედება კანონიერი იყო და არც არავის უფიქრია შესჩივლოს მას, მხოლოდ აქ საქმე სხვა მხრით არის საინტერესო. ხმები დადის, რომ ეს ჩამორთმეული ტყე მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასცა, თუ ფიქრობს გადასცეს დასამუშავებლათ ეგრეთ წოდებულ აქციონერულ საზოგადოებას „ოქროს ვერძს“, რაც გლეხებში იწვევს აღელვებას. თუ ეს მართალია, ჩემის აზრით, აქ დიდი ცოდვა მთავრობას არ ჩაუდენია, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ლანჩხუთის მცხოვრებლების ერთად ერთ სამუშაო წყაროთ ეს ტყე ითვლებოდა და ითვლება. ამიტომ გლეხობაში დაიბადა აზრი მუშათა არტელის შექმნისა და ამ მხრით კიდეც სწარმოებს მუშაობა. მას უკვე ჰყავს გამგეობა და რწმუნებული საქმეების მოსაგვარებლად. არტელის სურვილია ტყე მან აიღოს დასამუშავებლად და როგორც ზემოთ ვთქვი, კიდეც მიმართა თხოვნით მიწათ მოქმედების მინისტრს. იმედი გვაქვს, რომ არტელის თხოვნას ჩვენი მთავრობა დააკმაყოფილებს.

კოტე.

—

**ს. აბედათი** (სენაკის მაზრა) ჩვენ საზოგადოებაში სრული სიწყნარეა. ხალხი შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას. საზოგადოება კმაყოფილია მოსავლით. დარემმა დიდათ შეუწყო ხელი ნამუშავარის აღებას.

მიწის ჩამომართმევმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა ჩვენში. ჩამოართვა მიწა ვისაც ნორმაზე მეტი ჰქონდათ. მხოლოდ დადიანებისაგან ჩამორთმეული მამული სახელდობრ მარსელში ისევ დარჩა გაურკვეველი, ე. ი. დადიანებს (მარსელის) ნაწილი გაყიდული ჰქონდათ გლეხებზე საბუთიანი ნასყიდობით. კომისიის ჩამოსვლისას გლეხებმა კომისიას წარუდგინეს დადიანებისაგან მოცემული მიწის ნასყიდობის საბუთი და განუცხადეს ამ და ამ საბუთით მიწები არ შედის დადიანებისაგან ჩამოსართმევ მიწების რიცხვშიო, არამედ შეადგენს ჩვენს საკუთრებასო. ამაზე კომისიამ უპასუხა: ნაყიდ მიწებს დავტოვებთ გასარჩევათ და ცალკე გაირჩევაო. არ ვიცი კომისიამ რანაირი მოსაზრებით მიიღო ასეთი ზომები. თუ მამული ცნობილია დადიანის საკუთრებათ, იმ შემთხვევაში დადიანს სრული უფლება ჰქონდა როგორც მესაკუთრეს, ვისაც უნდოდა იმას მიყიდდა მიწას და ეს გაყიდული მიწები კანონიერათ უნდა ეცნო კომისიას და თუ კომისია კანონიერათ არ იცნობდა, იმ დროს დადიანების სახელზე არ უნდა ჩამორთმეულიყო მიწები, არამედ გლეხების საკუთრებათ უნდა ეცნოთ, ორში ერთი. კარგს იზამს სამაზრო მიწის კომიტეტი მიაქცევდეს ყურადღებას იმ მეიდველებს, რომლებსაც მიწა უყიდიათ დადიანებისაგან და დღეს ეს მიწა მათ ხელში არ არის.

სასურველათ იცნო სამაზრო ერობამ, რომ აქ ეხლავე გაეხსნას უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, აგრონომიული განყოფილებით. ამ წელში გაიხსნება პირველი კლასი. მასწავლებელს ამ დღეებში მოველით.

ავათმყოფობა ძალზე გახშირებულია „ისპანკას“ სახელით. საფერშლო დახმარება არ არის. ამის ისეც დაუმატეთ, რომ ხეირიან წამალს ვერ იშოვით. იმედი გვაქვს ახლად ჩამოსული ექიმი ჭეიშვილი კონტროლს გაუწევს აფთიაქებს, რითაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას, რომ აგრე ძვირად ნაყიდი წამალი ხეირიანი მაინც იქნას.

ში—რი.

## წერილი რედ. მიმართ

ჩვენს გაზეთში ამ ბოლო დროს დაიბეჭდა რამდენიმე წერილი ბაქოს ამბების შესახებ ვინმე ივ. მი—ძის ხელმოწერით. ჩვენ არას ვიტყვით წერილების არსებით მხარეზე, რადგან ვფიქრობთ ამ მოკლე ხანში ვრცლათ შევეხოთ ბაქოს ტრაგედიას.

მაგრამ ამ ჟამათ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ადგილი ნაჩვენებ წერილებისა, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ყოვლათ დაუშვებლათ.

ავტორი თავის უკანასკნელ წერილს ათავებს შემდეგი სიტყვებით: „ყოველი დაპირება ინგლისელების უმბრობაზე მხოლოდ ბაქოელ მენშევიკ ესერებ-დაშნაკელების პოლიტიკური სიბეცე, ერთგვარი შანტაჟი იყო და მეტი არაფერი“.

რაც უნდა შეხედულობის იყოთ ბაქოს მიერ ინგლისელების მოწვევაზე, ჩვენ ამ ფაქტის კვალიფიკაცია, როგორც შანტაჟი ამა თუ იმ პარტიისა, მიგვაჩნია ყოვლათ დაუშვებლათ და მიწონებას მხოლოდ ავტორის სრულ პოლიტიკურ უსუსურობას, საკითხის არ ცოდნას და დემოკრატიის ტრაგედიულ მდგომარეობის სამასხროთ აგდებას. საქმე იმაშია, რომ, რაც უნდა შეცდომათ ჩასთვალოთ ინგლისელების მოწვევა, ეს მოხდა მთელ ბაქოს შეკავშირებულ პროლეტარიატის დაჟინებითი მოთხოვნით. ჩვენ თამამათ შეგვიძლია გთქვათ, რომ იმ დღეებში ბაქოს დემოკრატიის წინაშე დაიდვა არჩევანი, რომ შეენარჩუნებინა თავის ფიზიკური არსებობა: ოსმალეთის ხიშტებით თუ ინგლისელთა იმპერიალიზმი. ისე, როგორც ქართველ დემოკრატიის წინაშე: ოსმალეთი თუ გერმანია. სულ სხვა კითხვაა, თუ რამდენათ გამართლდა ბაქოს დემოკრატიის იმედები, მაგრამ ყველა პოლიტიკურ პარტიების შანტაჟისტებათ მონათვლა—ეს იქნებოდა ბაქოს პროლეტარიატის ამავე სახელით მონათვლა, რადგან ბოლშევიკების მიერ მოწვეულ ისტორიულ მიტინგებზე, მან გადაჭრით მოითხოვა, ბოლშევიკების გადადგომასთან ერთათ ინგლისელებთან სამხედრო-სატეხნიკო კავშირის შეკვრა.

საზოგადოთ, ჩვენის აზრით, ბაქოს ტრაგედიის ისტორიის დაწერის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე და ობიექტიურობა და ამ მხრით შეხაძლებელია, ამა თუ იმ პირმა შეცდომაში შეიყვანოს ესა თუ ის რედაქცია.

ალ. ფორფოლიანი.

—

**რედაქციისაგან.** ამხ. ალ. ქორქოლიანის მიერ აღნიშნულ წერილში შემთხვევით გაგვეპარა ის ფრაზა, რომელიც მას მოჰყავს, რის გამოც მწუხარებას გამოვთქვამთ.

## ცნობები

ჩემი შვილი შალვა კოპტონაშვილი სწავლობდა მოსკოვის საპოლიტეხნიკო სასწავლებლის ჰიდრო ტეხნიკურ განყოფილებაში—მეოთხე კლასში. მისგან წერილები და ცნობები მომდიოდა დეკემბრის ჩვიდმეტამდე, 1917 წ. ხოლო მას შემდეგ, ვიდრე დღემდე, არარაფერი არ ვიცით. ვსთხოვ ვინც კი რაიმე ცნობა იცოდეს მის შესახებ, კეთილ ინებოს და შემატყობინოს შემდეგის ადრესით: მანგლისი, ღტოლვილს მღვდელს ვასილ კოპტონაშვილს.

—

ჯარისკაცი აკაკი ნიკოლოზის ძე მეგრელიშვილი მსახურებდა მე 18 კავკასიის სათადარიგო მსროლელ პოლკში. არზრუმის აღების დროს ის დაჭრილი იქმნა და გაგზავნილი 394 საველე გოსპიტალში. 1917 წლის 5 მარტის წერილი აქვს მის დედ-მამას გოსპიტლიდან. მას შემდეგ კი არავითარი ცნობა არ მოსვლია. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, დედ-მამა სთხოვს შეატყობინოს ამ მისამართით: სად. სუფსა, სადგურის დამცველს ვასო ნიკოლოზის ძე მეგრელიშვილს.

## ფონდი

მივიღეთ ილიკო ა. პინჭარაძისაგან გაზეთის სასარგებლოდ 5 თუმანი მისი უდროოდ გარდაცვლილ დანიშნულის მარუსია რუსეიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

## ფოსტა

ფოთი—დიდი კუნძული. გრიგოლ თუთუბერიძეს, თქვენი განცხადება ძლიერ გვიან მივიღეთ, ამიტომ აღარ მოვათავსეთ, გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ განცხადების ფულს.

**ხიდისთავი.** მეგრელიშვილს, განცხადება გვიან მივიღეთ, გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ განცხადების ფულს.

# განცხადებანი


## იყიდება სახლი ოთხ ოთახიანი.

მისამართი: ნაძალადევი, ვლადიმერის ქუჩა (მოედანის ახლო წყალსადენი („ვოდოპროვოდი“-ს) გასწვრივ).

2—1 გიორგი ჯავახოვი.

## რაჭა-ლეჩხუმის

დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ნახვა შეიძლება ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 11—12 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 19, სახელმწიფო კონტროლის ბინა, გ. ჯაფარიძესთან. იქვე შეიძლება საზოგადოებაში წევრათ ჩაწერა. ამავე ბინაზე ხდება საზოგადოების გამგეობის ჩვეულებრივი კრება ყოველ პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

ე ქ ი მ ი
**დიმიტრი იოსების ძე ყორდანია**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (ვერაზე) № 6. ტელეფ. 1—04.

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ე ქ ი მ ი
## გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღებს დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ე ქ ი მ ი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. მატიკოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვით 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და სახავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე

**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**

ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ ა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჰეჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**კბილის ხაექიმო კაბინეთები
თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა**

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ე ქ ი მ ი
## ლ. ა. სარაჯიშვილი

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათამდე. ... ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ... აუდიტორიის ახლო.

**მე. დოქტ. ს. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

**მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მებრაზიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალინოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ე ქ ი მ ი
## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი მ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა გუბერნიული სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

## სახელმწიფო თეატრი

(ო პ ე რ ა)

პარასკევს, 8 ნოემბერს, 1918 წელს.

მ. ი. ალეშკოს, ტ. ორდას, ა. მ. კანშინის, ო. კ. მოროზოვის და ი. დ. საბინინის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

**ა ი დ ა**

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ. მუსიკა ვერდისა.

ფასები ძლიერ დაკლებულია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.

## სახალხო სახლი.

პარასკევს, 8 ნოემბერს, 1918 წელს, წარმოდგენილი იქნება:

# ქ რ ი ს ტ ი ნ ე

დრამა 4 მოქმედებათ, პ. ირეთელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ს. ანკარა, ე ბარათაშვილი, ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი და ჯავახიშვილი. ბ-ნი: ბაზლაძე, ნ. გოცირიძე, ა. იმერელი, რ სალაყაია, ვ რატიშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.

რეჟისორი * * *

რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

(2—2)

## განცხადება.

### სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო

ნაწილი ამით აცხადებს, რომ თფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 120 ფუთი უვარგისი ბზე, 300 ფუთი უვარგისი ქვა-მარილი, 2000 ფუთი უვარგისი ხილის ჩირი და 1000 ცალი ფუთიანი ქ... მეტონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიათ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 3—1

## იაფი პური.

ქალაქის მცხოვრებთათვის იაფი პურის მიმწოდებელი შეერთებული კომისია, შემდგარი გერმანიის სამეურნეო ზოხის, ქალაქთა კავშირის და თფილისის გამგეობის წარმომადგენელთაგან, ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 12 დან ქალაქის მცხოვრებთ მიეცემათ იაფი პური გირვანქა 1 მ. 60 კ.

აღნიშნულ რიცხვში პური მიეცემათ მხოლოდ იმ სახლის ორგანიზაციებს, რომლებმაც ნოემბრის 8 მდე შეიტანეს სასურსათო ბარათები.

დანარჩენი სახლის ორგანიზაციები, რომლებიც სურვილს განაცხადებენ იაფი პურის შეძენის შესახებ, პური მიეცემათ პირადი ბარათების შეძენიდან სამი დღის განმავლობაში.

პური გაიყიდება ქალაქის ნაწილებში და რაიონულ კომიტეტების დუქნებში.

მოქალაქენო! რადგან ბევრი სახლის ორგანიზაციები ჯერაც არ ჩაწერილან პურის მისაღებათ, აიძულეთ ისინი და შეკავშირდით იაფი პურის მისაღებათ.

ქალაქის მცხოვრებთათვის პურის მიმწოდებელი შეერთებული კომისია.

(2—1)